



თავისუფალი პრესა

სამოქალაქო ანტიკორუპციული საერთაშორისო ცენტრის
ბიულეტენი № 5



სამოქალაქო ანტიკორუპციული საერთაშორისო ცენტრი



პროექტის მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

შინაარსი

თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საინთეგრაციო მრჩეველ-
თა საბჭოს საარჩევნო საინთეგრაციო მომუშავე თემური ჯგუფის რეკომენდაციები 3

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით ხოლმე "ქართული ოცნების" თბილისის მერო-
ბის ანდოლატი ღვიტ ნარმანია იქნება 4

თბილისის ჰიკვალ არჩეულ მარს სასამართლო უფლებამოსილება შეუქარა..... 7

ქუთაისის მარი შოთა მურულაია გახლა 9

საქართველოს რეგიონებს ახალი გუბერნატორები ჰყავს 11

სახალმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის საქმიანობის საანონსდებლო რეგულირება 13

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
2013 წლის ანგარიში 24

სიანლაბი მენიცივალიტაბაბიდან..... 30



თვითმმართველობის ეიონ!

თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სახითხაბში მრჩეველთა საბჭოს საარჩევნო სახითხაბზე მომუშავე თემატური ჯგუფის რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის წარმატებულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და საქართველოს ჰარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან შექმნილი თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის დადგენილებაში "დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის" ჩამოყალიბებული პრინციპების გათვალისწინებით, განხილულიყო სხვადასხვა საარჩევნო სისტემები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის და მათგან შერჩეულიყო ის სისტემები, რომლებიც შეესაბამება სტრატეგიაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

სტრატეგიის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო - არჩეულ იქნება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პერსონალური პროპორციული ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემით. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელები (გამგებელი სოფელში/თემში და მერი ქალაქში) არჩეულ იქნებიან პირდაპირი წესით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევასთან დაკავშირებით სტრატეგიაში პირდაპირ არის მოცემული კონკრეტული (ერთადერთი გადასაცემადი ხმა) საარჩევნო სისტემა, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შეთანხმდა, რომ განეხილა და ალტერნატივის სახით შემოეთავაზებინა სხვა სისტემებიც, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- პროპორციულობა - საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერა პროპორციულად იყოს ასახული საკრებულოს მანდატების რაოდენობაში;
- დაჯარგული ხმების მინიმალური ოდენობა;
- მეტი შანსი არჩეულ იყვნენ დამოუკიდებელი კანდიდატები და მცირე/ნაკლებად ძლიერი პარტიები;

- არჩევნებში დამოუკიდებელი (საინიციატივო ჯგუფების წარდგენილი) კანდიდატების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;
- მანდატების განაწილება მეორე ტურის გამართვის გარეშე;
- ბიულეტენის სტრუქტურა - ძირითადად კანდიდატზე ორიენტირებული;
- სიმარტივე - ადვილი გასაგები ამომრჩევლისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯგუფმა განიხილა სხვადასხვა საარჩევნო სისტემები და მათგან სამინისტროსა და პარლამენტს განსახილველად რამდენიმე საარჩევნო სისტემას სთავაზობს, ეგრძოდ:

საქრებულოს არჩევნებისათვის (თბილისის ჩათვლით):

1. ერთადერთი გადაცემადი ხმა - სტრატეგიაში მოცემული;

ალტერნატივები:

2. პროპორციული სისტემა (ღია სიით);
3. შერეული წევრობის პროპორციული სისტემა.

მერის/გამგებლის არჩევნებისათვის:

1. აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა;
2. ალტერნატიული კენჭისყრა (ორზე მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში) - თუ საქრებულოს არჩევნების ჩატარება გადაწყდა ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემით.

გარდა აღნიშნული სისტემებისა, საქრებულოს არჩევნებისთვის განხილულ იქნა ასევე, მაჟორიტარული მრავალმანდატიანი საარჩევნო სისტემა, როდესაც ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს რამდენი მანდატიცაა საარჩევნო ოლქში და დღეს არსებული პარალელური მაჟორიტარულ-პროპორციული საარჩევნო სისტემა, ხოლო მერის/გამგებლის არჩევნებისათვის უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა. თუმცა, ჯგუფისთვის ეს სისტემები მიუღებელია და აქედან გამომდინარე, არცერთ მათგანს არ უნევს რეკომენდაციას.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით ხოალიცია "ქართული ოცნების" თბილისის მერობის ხანდიდატი ღავით ნარმანია იქნება

პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის მერობის კანდიდატად, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, დავით ნარმანია წამოაყენოს. ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა, ნარმანიას მომავალი ჩინოვნიკის ეტალონი უწოდა.

ივანიშვილის თქმით, მან პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ბოლო კანდიდატურა წამოაყენა. დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მასთან კონსულტაციები მიმდინარეობდა და მიუხედავად მისი მერობის კანდიდატად წარდგენისა, იგი კვლავ გააგრძელებს სამინისტროში საქმიანობას.

"ეს გადაწყვეტილება მიიღო პოლიტიკურმა საბჭომ, ადამიანებმა, რომლებმაც იმსჯელეს ამ საყ-

ითხთან დაკავშირებით და ამის შემდეგ გახდა ცნობილი.

მანამდე, ჩემთან იყო კონსულტაციები რამდენიმე დღით ადრე. მე ჩემი ძირითადი ხედვები წარმოვადგინე, რომ თუ იქნებოდა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული, რა შემდგომ გამეკეთებინა და რა ძირითადი პრიორიტეტები მექნებოდა. რაც შეეხება ჩემი მხრიდან თანამდებობის დატოვების საკითხს, ჯერჯერობით პოსტს არ დავტოვებ. ჯერ უნდა გამოცხადდეს არჩევნების თარიღი. საარჩევნო კანონმდებლობით ყველაფერს აქვს თავისი პროცედურა. მე ამ წესებისა და პროცედურების დაცვით მოვიქცევი. ასევე, სანამ თანამდებობას დავტოვებ, პარლამენტმა უნდა განიხილოს თვითმმართველობის რეფორმა, უნდა დამტკიცდეს სამინისტროს ოთხწლიანი გეგმა და ა.შ. ერთი



სიტყვით, ბევრი საქმეა," განაცხადა დავით ნარმანია.

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი აცხადებს, რომ თბილისის მერის არჩევნებამდე კანდიდატურად მოქმედი მინისტრის დასახელება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საფრთხეს ქმნის. საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების უკუვითი ცენტრის დირექტორი, ჯახი ჯახიშვილი თვლის, რომ სამართლიანი იქნებოდა დავით ნარმანიას დაჯავებული თანამდებობა დაეტოვებინა.

"ის არ არის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტად და ამიტომ მასზე არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსის აკრძალვები. ამავდროულად დეფაქტო, ამ კანდიდატს უკვე აქვს გაცხადებული საარჩევნო პოლიტიკური მიზნები და შესაბამისად, დე ფაქტო ის უკვე თავისთავად ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან, არჩევნების თარიღი ცნობილი არ არის, სხვა კანდიდატებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საშუალება არ აქვთ. მესმის, რომ ძალიან მომგებიანია, როდესაც მოქმედი მინისტრი, მინისტრის ამჟღავნებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, სამსახურებრივი მანქანის, საწვავის და სხვა პრივილეგიების გამოყენებით მზონ-ველი მინისტრის ამჟღავნებით გამართავს შეხვედრებს მოსახლეობასთან, მის საქმიანობას აქტიურად გააშუქებს მედია, მაგრამ რამდენად სამართლიანი იქნება აღნიშნული, როდესაც მის-ახვედრი არ არის.

ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში, იკვეთება არათანაბარი გარემო. თუ კოალიციამ შეარჩია კანდიდატი, ბუნებრივია სამართლიანი იქნება, თუ ეს კანდიდატი გადადგება დაჯავებული თანამდებობიდან და ისე მოემზადება არჩევნებისთვის." განაცხადა ჯახი ჯახიშვილმა.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საფრთხეზე ჰასუხი კოალიცია ქართული ოცნების მერობის კანდიდატმა გასცა. დავით ნარმანია თქმით, იგი არ აპირებს არავითარი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას.

"ძალიან კარგად მივნობთ და წლების განმავლობაში საზოგადოებრივი სექტორიდან ვებრძოდი ამ ყველაფერს. არ გამომიყენებია ადმინისტრაციული რესურსი აქამდე, როცა ჩართული ვიყავი გიორგი მარგველაშვილის წინასაპრეზიდენტო კანკანიაში და არც ვაპირებ გამოვიყენო ადმინისტრაციული რესურსი იმისთვის რომ არჩევნებში რალაც დამატებითი ხმები მოვიპოვო.

პროექტებთან და პროგრამებთან დაჯავშირებით ინტერესთა კონფლიქტი არ გავქვს იმიტომ, რომ თბილისში ჩვენი სამინისტრო არ ახორციელებს პროექტებს და პროგრამებს. ჩვენი ყველა პროექტი და პროგრამა საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. ხოლო მას შემდეგ, რაც არჩევნების თარიღი დადგინდება, მას მერე რაც ჩემი კანდიდატურის რეგისტრაცია მოხდება, ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა უფლებამოსილებას მოვიხსნი" განაცხადა ნარმანიამ.

პოლიტიკოსების ნაწილისთვის კი ნარმანიას
ქანდიდატურა მიუღებელია იმ მიზეზით, რომ
ის თბილისელი არაა. ნარმანიას ქანდიდა-
ტურას მხარს ერთხმად არც კოალიციის შიგ-
ნით უჭერენ. საპარლამენტო უმრავლესობის
წევრი, ზაზა ჰაპუაშვილი აცხადებს, რომ ნარ-
მანია, როგორც თბილისის მერის ქანდიდატი,
მისთვის მისაღები არ არის და მალე გამოჩნდე-
ბიან ისეთი ქანდიდატებიც, რომლებსაც ნარმა-
ნია მეტოქეობას ვერ გაუწევს.

"თბილისის მერმა ბევრი კომპონენტი უნდა
დააკმაყოფილოს. არსებობს ნიუანსები,
რომელსაც თბილისის მერი უნდა აკმაყო-
ფილებდეს, ამ შემთხვევაში ბევრი რამის გათ-
ვალისწინება უნდა მოხდეს. ქალაქმა ბოლო
წლების განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა.
თბილისი შეძლებს, თავად ჩამოყალიბდეს
მერობის ქანდიდატურაზე და გამოინახება
ღირსეული ადამიანი. გამოჩნდებიან მერო-
ბის ქანდიდატები, რომელსაც ნარმანია მეტო-
ქეობას ვერ გაუწევს." განაცხადა ჰაპუაშვილმა.
მისივე თქმით, როდესაც კოალიციაში მერის
პოსტზე კენჭის საყრელად ნარმანიას ქანდიდა-
ტურაზე შეთანხმდნენ, კარგი იქნებოდა, აზრი
თბილისის მაჟორიტარებისთვისაც ეკითხათ.

თბილისი ამჟამინდელი მერი, გიგი უგულავა მი-
იჩნევს, რომ მერობისთვის რაიმე დაწესებული
სტანდარტი არ არსებობს, თუმცა, დავით ნარმა-
ნიას, როგორც თბილისის მერობის ქანდიდატს
ვერ აფასებს, რადგან, მისი თქმით, რეგიონული
განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელს
ბოლო 6 თვის განმავლობაში არაფერი გაუკე-
თებია.

"თბილისის მერი იქნება ისეთი, როგორსაც
თბილისელები აირჩევენ. რაიმე მზა სტანდარ-
ტი, ასეთი თვალის ფერით, ან ისეთი წარმომა-
ვლობით, ან ისეთი განათლებით არ არსებობს.
სტანდარტი არის ის, როგორსაც საზოგადოება
აირჩევს, ნარმანიაზე როგორც მერობის ქან-
დიდატზე ვერაფერს გეტყვით. ამაზე თბილისე-
ლებმა უნდა იმსჯელონ და შემდეგ არჩევენზე
გააკეთონ გადაწყვეტილება. მე შემიძლია, ამ
ადამიანზე ვილაპარაკო როგორც მინისტრზე,
რომელმაც საერთოდ ყველა პროექტი გააჩერა,
იმიტომ, რომ ვერ გაერკვა საერთოდ რისი მინ-

ისტრი იყო." აცხადებს უგულავა.

დავით ნარმანიას ქანდიდატურას მხარი ახალ-
მა პრემიერ-მინისტრმაც დაუჭირა. ირაკლი
ტარიბაშვილმა გაიზიარა ბიძინა ივანიშვილის
შეფასებები და აღნიშნა, რომ თბილისს ნარმა-
ნიასნაირი მერი სჭირდება.

"ნარმანიას მსგავსი მერი იქნება ყველაზე ეფექ-
ტური. უნდა დამთავრდეს პოლიტიკოსი მერის
დრო. ქალაქს და ქვეყანას სჭირდება მეურნე
პოლიტიკოსები, მეურნე ადამიანები, რომ-
ლებიც 24 საათის განმავლობაში იზრუნებენ
საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე და არა
ისე, როგორც ხდებოდა წინა ხელისუფლებ-
ის დროს. ისინი ზრუნავდნენ საკუთარ კომ-
ფორტზე, საკუთარ კეთილდღეობაზე და
ბოლო ეტაპზე ფიქრობდნენ, ამას თუ ფიქრი,
ჰქვია, საკუთარ ხალხზე. მთავარი მონაპოვარი
ჩვენი ხელისუფლების ისაა, რომ ხელისუფლე-
ბა იქნება საზოგადოებაზე ორიენტირებული."
განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარ-
მანია ფიქრობს, რომ მას უარგად აქვს გაანალი-
ზებული ის პრობლემები, რაც დედაქალაქში
არსებობს. იგი წლების განმავლობაში აკვირდ-
ებოდა და აანალიზებდა დედაქალაქში არსე-
ბულ მდგომარეობას როგორც თავის დროზე
თბილისის განვითარებასთან დაკავშირებული
ერთ-ერთი კონცეფციის თანაავტორი.

"ყველაზე მწვავე პრობლემები, რაც დედაქალაქ-
ში დგას, ეს არის სატრანსპორტო სისტემასთან
და კომუნიკაციებთან დაკავშირებული, ასევე უს-
ახლქაროებთან და საბინაო ფონდთან, ძალიან
დიდი პრობლემაა დედაქალაქში არსებული ინ-
ფრასტრუქტურული საკითხები. ეს ყველაფერი
იქნება თავის დროზე წარმოდგენილი ჩემი
მხრიდან დეტალურად და წინასწარჩვენო პრო-
გრამა სწორედ ამ პრობლემების დაძლევაზე
იქნება ორიენტირებული," აცხადებს ნარმანია.
მისი თქმით, მას შემდეგ რაც წინასწარჩვენო
კამპანია გაიხსნება იგი ამ საკითხებს წარმოად-
გენს დაჯგუფებულს 41 პრობლემად და მას 41
ამოცანით უპასუხებს.

თბილისის პირველ არჩეულ მერს სასამართლომ უფლებამოსილება შეუჩერა

თბილისის მერს გიგი უგულავას სასამართლომ უფლებამოსილება შეუჩერა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე დალი მეტრეველმა მიიღო. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და დედაქალაქის მერს გიგი უგულავას თბილისის განვითარების ფონდთან დაკავშირებულ ბრალდებაზე 50 ათას ლარიანი გირაო შეეფარდა.

მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პროკურატურის კიდევ ერთი შუამდგომლობა, უგულავასთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. დალი მეტრეველმა პროკურატურის აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მხარეთა დასწრების გარეშე გიგი უგულავას უფლებამოსილება შეუჩერა.

მოსამართლის გადაწყვეტილებას გიგი უგულავა სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. უგულავას განცხადებით, მას პოლიტიკურად დევნიან.



"დღეს ღამის პირველ საათზე, სამწუხაროდ, მოხდა ის რასაც ვვარაუდობდით. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, როდესაც მოჰასუხე მხარემ უკვე დატოვა სასამართლო, მარტო დარჩენილ მოსამართლე დალი მეტრეველსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანზე მთავრობის ზეწოლამ გაჭრა!

კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა იყო მთავრობის მიზანი: თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის პარალიზება მერის არჩევნებამდე დარჩენილი დროის განმავლობაში. მომხდარი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული დევნა წმინდა წყლის პოლიტიკური ხასიათისაა. სამწუხაროდ ამ შემთხვევაში სასამართლოს მძიმე ხვედრი ერგო. იგი ჩართეს პოლიტიკურ პროცესში და თბილისელების 55%-ის მიერ არჩეული მერი უაპელაციოდ, - პასუხის გაცემის შანსის გარეშე გადააყენეს.

მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს, მერიის თითოეულ თანამშრომელს: მეგობრებო, ბრძოლა არ წყდება! არჩეული მერის თანამდებობიდან გადააყენების მექანიზმი, გარდა არჩევნებისა, კონსტიტუციის თანახმად არ არსებობს და მე ვიბრძოლებ ბოლომდე, რათა არჩევნებზე ხალხის მიერ გამოხატული ნება, ფეხქვეშ არ ითეთლებოდეს დახურულ კაბინეტებში." - წერს უგულავა.

თბილისის მერისთვის გიგი უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა, გიორგი ვაშაძემ ბრიფინგი გამართა. მისი თქმით, გადაწყვეტილება უკანონო იყო და მოსამართლეს არ ქონდა უფლება ქალაქის მერისთვის უფლებამოსილება შეეჩერებინა.

"სამწუხაროდ, დღეს გამთენიისას, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართა საიდუმლო სერობა, როგორც ჩანს და მოსამართლემ, მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გიგი უგულავას უფლებამოსილება შეუჩერდა. მოსამართლემ საქმის განხილვისას აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე უარი განაცხადა. როგორც ჩანს ეს იყო ცრუ მანევრი, დაგეგმილი მთავრობისა და საქალაქო სასამართლოს მენეჯმენტის მიერ. საქალაქო სასამართლო არის სრული პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ და მათ მიიღეს ცალსახად პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს არის ასევე აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილება. მას არ ჰქონდა უფლება მიეღო ეს გადაწყვეტილება და შეეჩერებინა ქალაქის მერისთვის უფლებამოსილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სპეციალური ბრიფინგი გამართა, სადაც სპიკერმა მოსამართლემ გიგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების მიზეზები განმარტა:

" გიორგი უგულავას თანამდებობაზე დარჩენით ხელი შეეშლება გამოძიებას და საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებას. სწორედ გამოძიებისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ბრალდებულის გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან ".-განაცხადა სპიკერმა-მოსამართლემ ეკა არეშიძემ.

შეკითხვაზე, თუ რატომ განიხილა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა უგულავას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ზეპირი მოსმენის გარეშე, ეკა არეშიძემ განაცხადა:

"ეს კონკრეტულად გადაწყვიტა მოსამართლემ და ამაზე მე ვერ გაცემთ პასუხს, მას ჰქონდა ამის უფლება. ზოგადად გავრცელებული პრაქტიკაა, რომ ძირითადად ასეთი სახის შუამდგომლობა იხილება ზეპირი მოსმენის გარეშე".

თბილისის მერის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა და ხელისუფლებას მოუწოდა ზედმინწევნიტ და გამჭვირვალედ უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

"ვიზიარებთ სამოქალაქო საზოგადოების წუხილს არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით და ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენების განვითარებას. კვლავ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ზედმინწევნიტ და გამჭვირვალედ უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები და კანონის უზენაესობა", - ნათქვამია რიჩარდ ნორლანდის განცხადებაში.

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ", "საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციამ" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, გიგი უგულავას კომენტართან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოსა და მოსამართლეზე განხორციელებულ ზეწოლას უკავშირდებოდა, ერთობლივი განცხადება გაავრცელა.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს მსგავსი შუამდგომლობა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საქმისადმი არსებობს მატალი საზოგადოებრივი ინტერესი, საქმე ეხება პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერის თანამდებობას და ამ განჩინების მიღებამდე რამოდენიმე საათით ადრე იმავე მოსამართლემ მხარეთა დასწრებით განიხილა პროკურატურის სხვა შუამდგომლობა, უმჯობესი იქნებოდა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა ასევე მხარეთა დასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ემყარება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს და მნიშვნელოვანია თვითოულმა მოსამართლემ ნებისმიერი საქმის განხილვისას ამ პრინციპით იხელმძღვანელოს" - ნათქვამია განცხადებაში.

ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-პრეზიდენტი იაცეკ სარიუმ ვოლსკი უგულავასთვის უფლებამო-

სიღებოს შეწყვეტას დემოკრატიულ მმართველობაზე განხორციელებულ ახალ თავდასხმად აფასებს.

"ევროპის სახალხო პარტიის სახელით, კატეგორიულად ვგმობ საქართველოში ადგილობრივ დემოკრატიულ მმართველობაზე განხორციელებულ ამ ახალ თავდასხმას და მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ გააუქმონ ეს გადაწყვეტილება. დემოკრატიულ ქვეყნებში, მხოლოდ ამომრჩეველს შეუძლია შეცვალოს არჩეული უმრავლესობა", - აცხადებს სარიუმ ვოლსკი და აღნიშნავს, რომ "შერჩევითი სამართლის ამგვარი ქმედებები, ისევე, როგორც ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის საქმე, ხელს შეუშლის საქართველოს, ხელი მოაწეროს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში მოხდა"

გიგი უგულავას მორიგი ბრალდება 2013 წლის 18 დეკემბერს წარუდგინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დედაქალაქის განვითარების მიზნით შექმნილი ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდისთვისათვის" გამოყოფილი დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. პროკურატურა გიგი უგულავასთვის არმკვეთის ღონისძიებად 50 000 ლარიან გირაოს პატიმრობით შეცვლას ითხოვდა, ხოლო უგულავას ადვოკატები - უგულავასთვის შეფარდებული ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ან ალტერნატივის სახით პირადი თავდებობის გამოყენებას, ასევე თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების გაუქმებას. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გიორგი მიროტაძის 2013 განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 22 დეკემბრის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

ქუთაისის მერი შოთა მურღულია გახდა



მან მერის მოვალეობის შემსრულებელი გია შარაბიძე შეცვალა. ვიცე-მერი შარაბიძე აღნიშნულ თანამდებობაზე მიმდინარე წლის 4 ნოემბერს, 16 დღით დანიშნეს, რომლის ვადაც 20 ნოემბერს ამოეწერა.

ქუთაისის საკრებულომ ქალაქის მერის შესარჩევად კონკურსი სწორედ 20 ნოემბრის გამოაცხადა. თუმცა, ქუთაისის მერის თანამდებობაზე შოთა მურღულიას კანდიდატურა ცენტრალურ ხელისფლებაზე უკვე შეთანხმებული იყო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის შოთა მურღულიას, ქუთაისის მერის თანამდებობაზე დანიშნას, ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს.

ქუთაისის მერის თანამდებობაზე, არაერთი კანდიდატურის დასახელების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ამ პოსტს შოთა მურღულია დაიკავებს.

მურღულია, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე იყო, ქუთაისის მერის მოვალეობას შეასრულებს.

ქუთაისის საკრებულოს "ნაციონალური მოძრაობის" წევრის, დავით გოგისვანიძის განმარტებით, ისინი ქუთაისის მერის პოსტზე, "ქართული ოც-

ნების" მიერ წადგენილ უანი-
დატებს მხარს არ დაუჭერენ.

"ჩვენ მათ არ და ვერ ვენდო-
ბით. რადგან, სადაც მივიღ-
ნენ იქ ყველაფერი გააჩერეს",
- აცხადებს გოგისვანიძე.

მურლულიას ადგილობრივი
თვითმმართველობის შენო-
ბასთან საკრებულოს თავმჯ-
დომარე თამაზ მარგველაშ-
ვილი შეხვდა, რომელმაც
ქრნალისკებს მერის ახა-
ლი შემსრულებელი წარუდ-
გინა. მურლულიას თქმით,
ქუთაისისთვის მთავარი ინ-
ფრასტრუქტურული პრო-
ექტების განხორციელება და
სარეაბილიტაციო სამუშაოე-
ბის ბოლომდე მიყვანა იქნება.

"ქუთაისის მხარდამჭერი ვი-
ყავი მაშინაც, როცა რეგიონე-
ლი განვითარებისა და ინ-
ფრასტრუქტურის მინისტრის
მოადგილის თანამდებობას
ვიკავებდი და ვიქნები ახლაც,
როცა ვარ ქალაქის მერის
მოვალეობის შემსრულე-
ბელი. ეს ქალაქი ჩემთვის სა-
პატივცემლო ქალაქია და
მზად ვარ, ვიმუშავო ამ ქალა-
ქის კეთილდღეობისთვის",
- განაცხადა მურლულიამ.

პარალელურად ქუთაისის
ვიცე-მერებმა თენგიზ თო-
ფურიძემ და კოტე ლომიძემ
თანამდებობა დატოვეს.

"მივიღე გადაწყვეტილება,
დავტოვო მერის მოადგილის
თანამდებობა იმ მოტივით,
რომ ახალ მერს საკუთარი გუნ-
დის წევრების შერჩევას პრო-
ცესში თავისუფალი არჩევნის
საშუალება მიეცეს. თუმცა, ეს
იმას არ ნიშნავს, რომ უკან-
მოუხედავად მივდივარ ქ.
ქუთაისის თვითმმართველო-
ბიდან. საჯაროდ ვადასტურებ,
ყოველმხრივ შევუწყობ ხელი
ახალ გუნდს მუშაობაში - გა-
დავცემ ინფორმაციას, გავუწევ
კონსულტაციას და მათთან ერ-
თად მივიღებ მონაწილეობას
ყველა იმ პროცესში, რაც ჩვენი

ქალაქის აღმშენებლობას შე-
ეხება. აქვე მინდა მადლო-
ბა გადავუხადო ქ. ქუთაისის
თვითმმართველობის ყველა
ხელმძღვანელ პირს და თან-
ამშრომელს 5 წლიანი ერ-
თერთ თანამშრომლობ-
ისთვის და გამოვთქვა იმედი,
რომ ჩვენი ცხოვრებისეული
გზები რაღაც კონტექსტში
აუცილებლად გადაიკვეთ-
ება."- აცხადებს თოფურიძე.

ქუთაისში 2014 წელს პრიორ-
იტეტული ინფრასტრუქტუ-
რული პროექტების განხორ-
ცილება იქნება. აღნიშნულის
შესახებ ქუთაისის მერის მოვ-
ალეობის შემსრულებელმა
შოთა მურლულიამ საკრე-
ბულოს საფინანსო-სარე-
ვიზიო და ეკონომიკურ
საკითხთა კომისიების გაერთი-
ანებულ სხდომაზე განაცხადა.

"მართალია, ცენტრალური
ხელისუფლება ტრანსფერის
სახით გვაძლევს ინფრასტრუქ-
ტურული პროექტების გან-
სახორციელებლად. თუმცა,
ადგილობრივი რესურსებიც
მაქსიმალურად უნდა გამ-
ოვიყენოთ", - განმარტა
მურლულიამ. მისი თქმით,
სწორედ ამ საკითხთან დაკავ-
შირებით აქვს მას შენიშვნა
ადგილობრივი ბიუჯეტის
პროექტის ფორმირებისას.

ქუთაისის მერის მოვალეო-
ბის შემსრულებლის განცხ-
ადებით, ქალაქის მთავარი
ფინანსური დოკუმენტი მიმ-
დინარე წლის 5 დეკემბრამდე
უნდა დამტკიცდეს. რადგან,
მურლულიას თქმით, დროუ-
ლად მოხდეს სხვადასხვა სა-
მუშაოების განსახორციელე-
ბლად ტენდერების ჩატარება.

"მინდა რაც შეიძლება ნაკლე-
ბი გამარტივებული ტენდერი
გამოვაცხადოთ და კითხვის
ნიშნები არ გაჩნდეს. რად-
გან, გამარტივებული ტენდერი
არის სუბიექტური. მინდა ჯან-
საღი კონკურენცია იყოს და
შეუჯიბრონ კომპანიები ერთ-

მანეთს",- განმარტა მურლულია.

2014 წლის ბიუჯეტის
ფორმირება ამ დროისთვის
საკრებულოს კომისიებში მიმ-
დინარეობს. ქალაქის 2014
მთავარი ფინანსური დო-
კუმენტის სასტარტო მოცუ-
ლობა 42 მლნ 168 ათასი
800 ლარით განისაზღვრა.
აქედან, 29 მლნ ტრანსფერია.

ფრაქციებმა - "ნაციონალურ-
მა მოძრაობამ და "მაჟორი-
ტარებმა" ქალაქის მერის
მოვალეობის შემსრულებელ-
თან შეხვედრის სურვილი
გამოთქვეს, თუმცა როგორც
შემდეგ განაცხადეს, ისინი "ნა-
ციონალური მოძრაობის"
გენერალური მდივნის ვანო
მერაბიშვილის პროცესზე იმყ-
ოფებოდნენ და ამის გამო
ვერ მოახერხეს შეხვედრა.

"ალბათ, ობიექტური მიზეზი
ჰქონდათ იმისა, რომ შეხვე-
დრაზე არ მოვიდნენ. მომავ-
ალში, როცა მათ ექნებათ სურ-
ვილი დამედრო, აუცილებლად
შეხვედები", - განაცხადა მერის
მოვალეობის შემსრულე-
ბელმა შოთა მურლულიამ.

ქუთაისში მოქმედი არასამთავ-
რობო ორგანიზაციების
წარმომადგენელთა თქმით,
ქუთაისში მერის უანდიდატე-
რაზე მსჯელობით ქალაქის
პრობლემები ვერ მოგვარდება.

"ვინც არ უნდა გახდეს ქუთაი-
სის მერი, ის თავს ვერაფერს
გართმევს და ისევ ჩიხში
აღმოჩნდება. გვაქვს კონკ-
რეტული გეგმა, თუ რა არის
გასაკეთებელი," - აღნიშნა "სა-
ზოგადოებრივი ინტერესე-
ბის დაცვის ცენტრის" თავმჯ-
დომარემ, სულხან ქობულაძემ.

"გასაკეთებელია ქალაქის საქმე,
რომელიც მარტო თბილისის
საქმე არაა," - განაცხადა მოძ-
რაობა "სამოქალაქო სოლი-
დარობის" წარმომადგენელ-
მა, კახა ჩახუნაშვილმა.

შოთა მურდულია "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქუთაისი რიგით მე-11 მერია. ბოლოს მერის თანამდებობა ამერიკიდან ჩამოსულ დიმიტრი ჯოჰალიანს ეკავა, რომელმაც მერის პოსტი მხოლოდ 99 დღით შეინარჩუნა. მან თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე, მიმდინარე წლის 11 სექტემბერს დატოვა. მას შემდეგ კი ქუთაისმა მერის მოვალეობის ექვსი შემსრულებელი გამოიკვალა.

სავარაუდოდ, ქუთაისის ახალი მერი აღნიშნულ თანამდებობაზე 7-8 თვით, თვითმმართველობის არჩევნებამდე დარჩება.

საქართველოს რეგიონებს ახალი გუბერნატორები ჰყავს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს რეგიონების ახალი გუბერნატორების ვინაობა დაასახელა, რომლებიც მისი წარდგინებით მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა. ღარიბაშვილმა ახალი გუბერნატორების პროფესიებზე და სამუშაო გამოცდილებაზეც ისაუბრა:



"ქვემო ქართლის გუბერნატორად დაინიშნა ბატონი გიორგი მღებრიშვილი. იგი გახლავთ იურისტი, სამართალმცოდნე, მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ყველგან სარგებლობდა ძალიან მაღალი რეპუტაციით.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა ჰაპუნა მარგველიძე. იგი გახლავთ ეკონომისტი, ფინანსებისა და საბუღალტრო საქმის მცოდნე. იგი არის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი და ჯარჯი მენეჯერი.



სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად დაინიშნა აკაკი მაჭუტაძე, საგარეო ეკონომიკური მიმართულებების სპეციალისტი. მას აქვს სამართალდამცავ ორგანოებში, საფინანსო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, არის ძალიან პატრიოტი ქაცი და

ჯარჯი მენეჯერი.

სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა ლევან შონია. იგი ჩემი შს მინისტრობის დროს იყო ძალიან გამორჩეული სამხარეო პოლიციის უფროსი. იგი არის პროფესიით

სამართალმცოდნე, კვალიფიკაცია გავლილი აქვს აშშ-ში. ბატონი ლევანი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში. იგი გახლავთ ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი და ღირსების ორდენის კავალერი. ძალიან მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს ლევანი სამეგრელოში.



იმერეთის გუბერნატორად დაინიშნა ზაზა მეფარიშვილი, ძალიან ჯარჯი ორგანიზატორი, მართლაც პროფესიონალი. იგი გახლავთ პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, ასევე აქვს იურისტის და ფინანსისტის კვალიფიკაცია. აქვს საფინანსო საქმიანობის ჯარჯი გამოცდილება ასევე სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება.

ჯავახეთის გუბერნატორად დაინიშნა ირაკლი შიოლაშვილი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჯარჯად იცის ჯავახეთის რეგიონი და მე ვიტყვოდი, რომ მართლაც გამორჩეული გამგებელი იყო. ჩემთვის პირადად არის მოღელთ



თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე გამგებელი და გუბერნატორი.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად დაინიშნა ნუგზარ ყიფიანი, პროფესიით გახლავთ რეჟისორი, ძალიან ნიჭიერი

კაცი. ბატონი ნუგზარი გახლავთ წესიერებით გამორჩეული ადამიანი. სარგებლობს მატალი ავტორიტეტით და დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებული იქნება თავის საქმიანობაში.

შიდა ქართლის გუბერნატორად დანიშნა ზურ-



აბ რუსიშვილი, პროფესი-
ით გახლავთ საგარეო
ეკონომიკური ურთიერ-
ობების და მართვის სპე-
ციალისტი, მატალი კვალი-
ფიკაციის ფინანსიტი. მას
აქვს გამოცდილება საფი-
ნანსო ორგანიზაციებში
მუშაობის. მან ყველგან
გამოიჩინა თავი, როგორც

კვალიფიციურმა მენეჯერმა. დარწმუნებული
ვარ იქნება ძალიან ეფექტური გუბერნატორი.

გურის გუბერნატორად
დანიშნა გიორგი ჩხაიძე.
პროფესიით არის ეკონო-
მისტი, ძალიან წარმატე-
ბული თავის საქმიანობა-
ში. მას აქვს ძალიან უარგი
მენეჯერული საქმიანო-
ბის გამოცდილება და გუ-
რულეებს ძალიან ღირ-
სეული გუბერნატორი
ეყოლებათ", - განაცხადა ირაქლი ღარიბაშვილ-
მა.



პრემიერმინისტრმა ახალ გუბერნატორებს
თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და იმე-
დი გამოთქვა, რომ ისინი დაკისრებულ მოვ-
ალეობას ღირსეულად გაართმევენ თავს.

"თქვენ ხართ წარმომადგენელი მთავრობის და
პრემიერ-მინისტრის თითოეულ რეგიონში. შე-
საბამისად, თქვენზე არის ძალიან დიდი პასუხ-
ისმგებლობა, რომ რეგიონში დაწყებული, იქნე-
ბა ეს ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტები,
განხორციელდეს წარმატებით, ეფექტურად და
დროულად, რომ არ იყოს ჩამორჩენა. ადგი-
ლზე უნდა გავცნოთ არსებულ პრობლემებს.
რაც მთავარია, მოსახლეობის პრობლემებს.
დღევანდელი მთავრობა ვართ მოსახლეობაზე
და ადამიანებზე ორიენტირებული მთავრობა.
ჩვენი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ადამი-
ანი.

შესაბამისად, ჩემი მოწოდება არის, რომ 24-საა-
თიან რეჟიმში იმუშაოთ ჩვენი მოქალაქეების
კეთილდღეობისთვის", - მიმართა ღარიბაშ-
ვილმა ახალ გუბერნატორებს.

არასასარლამენტო ოპოზიცია რეგიონებში

ახალი გუბერნატორების დანიშვნას ეხმაურება.
პოლიტიკოსთა განცხადებით, გუბერნატორთა
ნაწილი ყოფილი პოლიციელია და ხელისუ-
ფლება მათ, საჭიროების შემთხვევაში, საკუ-
თარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოი-
ყენებს.

"სახელი მაინც გადაარქვან ამ გუბერნატორებს
და დაარქვან პოლიცმაისტერები, იმიტომ რომ
ყველა გუბერნატორი არის სამხარეო პოლიცი-
ის ყოფილი უფროსი. თქვენ იცით, რომ მე-19
საუკუნეში ადმინისტრაციული და პოლიციური
თანამდებობები იყო შერწყმული და მაზრას
ჰყავდა პოლიცმაისტერი - ასეთი განცხადება
გააქეთა პარტია "თავისუფალი საქართველოს"
ლიდერმა კახა კუკავამ.

ახალი გუბერნატორების დანიშვნას "ერთიანი
ნაციონალური მოძრაობაც" გამოეხმაურა. მათი
შეფასებით, ახალი გუბერნატორები ულანური
ნიშნით დანიშნენ. როგორც პარტიის ოფის-
ში გამართულ პრესკონფერენციაზე "ნაციონ-
ალური მოძრაობის" წევრმა, ირმა ნადირაშ-
ვილმა აღნიშნა, "ქართული ოცნება" აგრძელებს
ტრადიციას, რომ მატალ თანამდებობაზე მოხ-
ვედრის ერთადერთი მანსი ვინმეს ახლობლო-
ბა ან ერთგულებით გამორჩევაა.

"საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარმოად-
გინა 9 ახალი გუბერნატორი საქართველოს 9
რეგიონში. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ
ამ ადამიანების აბსოლუტური უმრავლესო-
ბის შერჩევა მოხდა ან ულანური ნიშნით - ვინ
ვისი ნათესავია, მეგობარია, ახლობელია ან პი-
რადი ერთგულების ნიშნით, ანუ მოხდა უშიშ-
როებიდან უადრების წამოყვანა. ის ტრადიცია,
რომელიც ქართულმა ოცნებამ დაამკვიდრა
ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ისევ გრ-
ძელდება და ეს ტრადიცია ქვეყანას უარგ შედე-
გამდე არ მიიყვანს." - განაცხადა ნადირაშვილმა.

სამოქალაქო უტურის საერთაშორისო ცენ-
ტრის გამგეობის თავმჯდომარე და თვითმ-
მართველობის განვითარებისა და რეგიონ-
ალური პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა
საბჭოს წევრი, კონსტანტინე უანდელაყი, ამ-
ბობს, რომ გუბერნატორების ფუნქციაა სამთავ-
რობო უწყებების უოორდინაცია მათ სამო-
ქმედო ტერიტორიაზე და ასევე ბიუჯეტის
შემუშავების პროცესში კონსულტაციების განევა
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-
ნოებისთვის. კონსტანტინე უანდელაყის სიტყვე-
ბით, ეს ყოველთვის პოლიტიკური თანამდებო-
ბა იყო ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის ხელში
რეგიონების სამართავად.

მთავრობის ხანცელარის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ხანცელარის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალ უფროსად აქაქი ჩხენკელი წარადგინა. ჩხენკელი ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის დროს სამინისტროს გენინსპექციის უფროსის მოადგილე იყო.



როგორც ჟურნალისტებთან საუბარში მელაშვილმა განაცხადა, პრემიერის ეს გადაწყვეტილება თვითმმართველობის კოდექსს არანაირად არ უკავშირდება და მიზეზი სამთავრობო ცვლილებებია.

ხანცელარის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის პოსტი აქამდე ირაკლი მელაშვილს ეკავა. ყოფილი უფროსი ირაკლი მელაშვილი მუშაობას ამავე დეპარტამენტში მოადგილედ გააგრძელებს.

"რაც შეეხება თანამდებობრივ ცვლილებას, მე ჯერჯერობით ვრჩები მოადგილედ იმავე დეპარტამენტში, ეს არის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება და რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი სრულიად უფლებამოსილია ამ გადაწყვეტილების მიღებაში. მე გუშინ მქონდა ამასთან დაკავშირებით საუბარი და არანაირ პრობლემას ეს გადაწყვეტილება ჩემთვის არ წარმოადგენს, მე ისევ განვაგრძობ ამ თემებზე მუშაობას", - აღნიშნა მელაშვილმა.

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის საქმიანობის სახანონმდებლო რეგულირება

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 81³:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.
2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.
3. სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

თავი VIII

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

მუხლი 27¹

1. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

2. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი:

ა) უკონტროლოდ უწევს და აკონტროლებს საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულებას;

ბ) მთავრობის დავალებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალურ პროგრამებს;

გ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე;

დ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენის მიზნით მთავრობას წარუდგენს წინადადებებს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ;

ე) (ამოღებულია - 04.10.2013, N1463).

ვ) მთავრობის დავალების შემთხვევაში უკონტროლოდ უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ზ) უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომაში;

თ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 272

1. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის სამტატო განრიგს და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაჯვებებს ამტკიცებს მთავრობა. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის და მისი ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილება, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი დგინდება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 27³

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამართლებრივი აქტია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის განკარგულება.

2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამართლებრივ აქტს აუქმებს მთავრობა.

3. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამართლებრივი აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №308

2013 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანდართული დებულება.

მუხლი 2

სახელმწიფო რწმუნებულებმა - გუბერნატორებმა, ამ დადგენილების მიღებიდან 60 დღის ვადაში, უზრუნველყონ დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად ადმინისტრაციების სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელება, ხოლო რეორგანიზაციის დასრულებამდე იხელმძღვანელონ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივლისის №454 ბრძანებულებით.

მუხლი 3

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ფუნქციები, ამოცანები და უფლებამოსილებები, ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებანი, ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული რეორგანიზაციის დასრულებამდე, განისაზღვრება "სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივნისის №406 ბრძანებულების შესაბამისად.

მუხლი 4

დადგენილება, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო დადგენილების პირველი მუხლი ამ დადგენილების მე 2 მუხლით გათვალისწინებული რეორგანიზაციის დასრულებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულების რეგულირების სფერო

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სტატუსს, მის ამოცანებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებს, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სტატუსი და თანამდებობაზე დანიშვნა

1. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა.

2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის პროცედურას უკონტროლოდ უწევს საქართველოს მთავრობის უწყვეტად რეგონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი, შესაბამის სამინისტროებთან უკონსულტაციო საფუძველზე.

3. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურების საქართველოს მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

4. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით, ასევე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობისას სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილებები, ხოლო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება, დელეგირებული უფლებამოსილებები განახორციელონ ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

6. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის წინაშე.

მუხლი 3. სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების უფლებამოსილებათა ტერიტორიული საზღვრები

სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების უფლებამოსილებათა ტერიტორიული საზღვრები განისაზღვრება შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

ა) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ბ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

გ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

დ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ე) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ვ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ამბროლაურის, ტენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ზ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

თ) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს;

ი) სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს.

მუხლი 4. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და მისი ადმინისტრაციის დაფინანსების წყარო

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თავი II

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის

უფლებამოსილებანი და სამართლებრივი აქტი

მუხლი 5. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებანი

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი:

ა) საქართველოს მთავრობის დავალებით უკორდინაციას უწევს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალ-ყულ ღონისძიებებს;

ბ) საქართველოს მთავრობის დავალებით, შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში შეიმუშავებს ან/და ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებს და ონ-

ან ილუბს რეგიონული განვითარების ღონისძიებებში;

გ) საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;

დ) საქართველოს მთავრობის დავალებით ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და სპორტის განვითარებას, კულტურისა და ისტორიული ძეგლების დაცვასა და სხვა ღონისძიებების განხორციელებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ყოორდინაციას უწევს საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო უწყებების ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან;

ვ) საქართველოს მთავრობის დავალებით ყოორდინაციას უწევს საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას;

ზ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და შესაბამის ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს;

თ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის მიზნით, საქართველოს მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ;

ი) კანონის შესაბამისად ახორციელებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევის სახელმწიფო ზედამხედველობას;

კ) საქართველოს მთავრობის დავალებით ან შესაბამისი სამინისტროს მიმართვის სა-ფუძველზე ხელს უწყობს სამხედრო-სასწავლო შეკრებებისა და სამხედრო მომზადების ორგანიზების ღონისძიებათა განხორციელებას;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობს თავდაცვისუნარიანობის ამალღებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ყოორ-რდინირებით უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სა-ლიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებას;

ნ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით ქმნის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სამაშველო ჯგუფებს და უზრუნველყოფს მზადყოფნას;

ო) სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე აწესებს და ხსნის ვეტერინარულ და მცენარეთა ყარანტინს ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე "სურსათის/ცხოველის საყვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ყოდექსით" გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით;

პ) ყოორდინაციას უწევს და აყონტროლებს საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს საყანონმდებლო და ყანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულებას;

ჟ) უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მთავრობის სხდომებში;

რ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს - განყარგულებებს;

ს) იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური ჰა-სუხისმგებლობის შესახებ;

ტ) საქართველოს მთავრობის დავალებათა შესასრულებლად, აგრეთვე, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის კომპეტენციას მიუთვინებულ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად უფლებამოსილია, შექმნას დროებითი კომისიები, საბჭოები და სამუშაო ჯგუფები;

უ) ახორციელებს ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს და საქართველოს მთავრობის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 6. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამართლებრივი აქტი

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის განჯარგულება, რომელიც გამოიცემა საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ამ აქტებით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს აუქმებს საქართველოს მთავრობა.

3. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი III

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის სტატუსი,

სტრუქტურა და საქმიანობის წესი

მუხლი 7. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე და მოადგილეები

1. სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი.

2. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი.

3. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის არყოფნისას ადმინისტრაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე.

4. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან დელეგირების საფუძველზე, მის მიერ უფლებამოსილი პირების მეშვეობით.

მუხლი 8. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის (შემდგომში - ადმინისტრაცია) მეშვეობით, რომლის საშტატო განრიგს და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაჯველებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეებს, "საჯარო სამსახურის

შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

2. ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. ადმინისტრაციას აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამო-სახულებითა და სახელწოდებით, დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიში სა-ხელმწიფო ხაზინაში.

მუხლი 9. ადმინისტრაციის სტრუქტურა

ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახური;
- გ) რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახური;
- დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

მუხლი 10. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია

1. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის ფუნქციებია:

ა) ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ერთიანი საქმისწარმოების (მათ შორის, საიდუმლო) უზრუნველყოფა და დოკუმენტაციის არქივის წარმოება;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, რეზოლუციებისა და წერილების პროექტების ხელმოსაწერად მომზადება და სათანადო რეესტრის წარმოება;

გ) მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და ადმინისტრაციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ე) საკადრო რესურსების მართვის მიზნით ადმინისტრაციის თანამშრომელთა დადგენილი წესის შესაბამისად დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, დისციპლინური წესით დასჯისა და წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; მათი პირადი საქმეების შედგენა-წარმოება;

ვ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და ადმინისტრაციის ურთიერთობის უზრუნველყოფა;

ზ) საზოგადოების ინფორმირება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ;

თ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დავალებათა შესრულების კონტროლი;

ი) სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან გამართული თათბირებისა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის საბჭოების, კომისიების, სამუშაო ჯგუფების სხდომების მომზადება და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

კ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და შესაბამისი ორგანოებისათვის წარდგენა;

ლ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე საქართველოს სა-

ქანონმდებლო და ქანონქვემდებარე ნორმატიული აქტების აღსრულების კოორდინაცია და კონტროლი;

მ) ადმინისტრაციის ფუნქციონირების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ნ) ადმინისტრაციის საბიუჯეტო ასიგნებების პროექტის შემუშავება;

ო) საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვა და ხარჯთა ნუსხის შედგენა;

პ) ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებია:

ა) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით სახელმწიფო რწმუნებულისათვის - გუბერნატორისათვის რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება; სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიებთან კოორდინირებული მოქმედება;

ბ) თავდაცვისუნარიანობის ამალგებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობა და სამხედრო-სასწავლო შეჯიბრებისა და სამხედრო მომზადების ორგანიზების ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს მთავრობის დავალების ან შესაბამისი სამინისტროს მიმართვის სა-ფუძველზე ცალკეულ საკითხებზე ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციების ორგანიზება;

დ) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად ადგილობრივი თვით-მმართველობის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულისათვის - გუბერნატორისათვის სათანადო ინფორმაციისა და რეკომენდაციების მომზადება;

ვ) "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს ქანონით დადგენილი წესის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი და დელეგირებული უფლებამოსილებების მათ მიერ სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად განხორციელების სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ზ) "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს ქანონით დადგენილი წესის თანახმად განხორციელებულ სახელმწიფო ზედამხედველობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად ან-გარიშის მომზადება;

თ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად საჩრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის შესახებ წინადადებების მომზადება.

3. რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის ფუნქციებია:

ა) ამ დებულებით დადგენილ შემთხვევაში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება;

ბ) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად რეგიონული განვითარების ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად რეკომენდაციებისა და წინადადებების

მომზადება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ;

დ) კომპეტენციის ფარგლებში საგარეო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;

ე) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორისა და საზღვარგარეთის სახელ-მწიფოების რეგიონებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა განვითარების ხელშეწყობა;

ვ) შესაბამის ინსტიტუტებსა და სპეციალისტებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მომზადება და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება;

ზ) საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

თ) სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ვეტერინარულ და მცენარეთა ჯარანტინის დაწესებისა და მოხსნის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს ჯანონმდებლობის შესაბამისად;

ი) საქართველოს მთავრობის დავალებით საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მელიორაციის სფეროში დაგეგმილი პროექტების ხელ-შეწყობა.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ბ) სამოქმედო ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების რეაგირების ძალების საქმიანობის კოორდინაცია და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება ჯანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სამაშველო ჯგუფების შექმნისა და მზადყოფნის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

დ) საავარიო-სამაშველო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების შესრულების კოორდინაცია, საძიებო-სამაშველო ოპერაციების ჩატარება;

ე) საქართველოს ჯანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების განხორციელება, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ვ) მოსახლეობის ევაკუაციისა და მათი სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია;

ზ) დაზარალებული და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ჰუმან-ნიტარული დახმარებების განაწილების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

თ) საგანგებო სიტუაციაში ორგანიზაციების უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების კოორდინაცია;

ი) საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამონეული შედეგების ლიკვიდაციის სფეროში ჯანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 11. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის უფროსი

ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს უფროსი, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის წინაშე დაქვამდებარებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) განსაზღვრავს მისდამი დაქვამდებარებული მოსამსახურეების სამსახურებრივ უფლებამოსილებებს;

გ) ხელს აწერს სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში შემავალ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

დ) ანაწილებს სამსახურებრივ კორესპონდენციას მისდამი დაქვამდებარებულ მოსამსახურეებზე და უზრუნველყოფს მათი შესრულების კონტროლს;

ე) უფლებამოსილია სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, აგრეთვე, შესაბამისი დოკუმენტაცია;

ვ) უფლებამოსილია წინადადებით მიმართოს სახელმწიფო რწმუნებულს - გუბერნატორს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და სახელმწიფო რწმუნებულის " გუბერნატორის სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სათათბირო ორგანოები

1. სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი უფლებამოსილია შექმნას სა-ხელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის სათათბირო ორგანოები - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის კომისიები და საბჭოები (შემდგომში - სათათბირო ორგანო).

2. სათათბირო ორგანოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ ადმინისტრაციის მოსამსახურეები, ასევე, შესაბამისი თანხმობით - საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები.

3. სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელობს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ან მისი ერთ-ერთი მოადგილე.

4. სათათბირო ორგანოს საქმიანობის წესი, განსახილველ საკითხთა ნუსხა, წევრთა რიცხოვნობა და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის განკარგულებით.

მუხლი 13. დებულებაში ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონ-მდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის ანგარიში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დღეს 2013 წლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია წარადგინა. 2013 წელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამომწვევების წელი იყო. მიუხედავად არაერთი პრობლემისა და სირთულისა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვახვედრა, ვფიქრობთ, სამინისტრომ ამ სირთულეებს წარმატებით გაართვა თავი. არაერთი პროექტის გადახედვა მოგვიწია, ხოლო ათზე მეტი საქმე სამართალდამცავ ორგანოებში გადავაგზავნეთ. უწყებაში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ სრულად შეიცვალა მიდგომები პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით; გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა ტენდერები; მნიშვნელოვნად გაიზარდა ტენდერებში მონაწილეობით დაინტერესებულ კომპანიათა რიცხვი; შემუშავდა ხარისხის სტანდარტები და გაიზარდა მისი კონტროლის მექანიზმები; შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის მეთოდოლოგია; შეიქმნა ელექტრონული გეო-ინფორმაციული სისტემა; სამინისტროს საქმიანობა გახდა ღია და გამჭვირვალე, ინფორმაცია კი - ხელმისაწვდომი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ უარი თქვა წინა მთავრობის დროს უკანასკნელ წლებში დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე და საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსი არ გამოუყენებია. მიუხედავად მრავალრიცხოვანი მასშტაბური პროექტებისა, რომელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით ვახორციელებდით, არ დაფიქსირებულა არც ერთი ფაქტი, როდესაც მმართველმა გუნდმა ის საკუთარი საპრობლემენტო უნდობის სასარგებლოდ გამოიყენა.

წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 901 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც 501 მილიონი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ტონისძიებებისთვის იყო გამოყოფილი, 182 მილიონამდე - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, 82 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისა და მათთვის ღირსეული საცხოვრისების შექმნისთვის, 130 მილიონი წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის, ხოლო რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის

განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მართვისთვის - 4 მილიონზე მეტი.

როგორ დავასრულეთ 2013 წელი? წლის ბოლოსამინისტროს საჯასო შესრულება 745 მილიონი ლარია (საბოლოო მონაცემი იანვრისთვის დაზუსტდება). წინა წელს სამინისტროს შესრულება 655 მილიონი ლარია იყო. როგორც ხედავთ, ამ ორი წლის მაჩვენებლებს შორის სხვაობა 90 მილიონი ლარია, და ეს მაშინ, როცა მთელი წლის განმავლობაში ჩვენი ოპონენტები გვიკეციანებდნენ, რომ თითქოს ქვეყანაში ინფრასტრუქტურული პროექტები შევაჩერეთ.

რა გავაკეთეთ კონკრეტულად?

2013 წელს სამინისტრომ შეიმუშავა თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც სრულიად ცვლის 20 წლის განმავლობაში დამკვიდრებულ მანკიერ სისტემას. რეფორმის შედეგად, გაიზარდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები. მერებს და გამგებლებს პირდაპირი წესით აირჩევს ხალხი. ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიეცემა ფული და უფლებამოსილება, რათა საკუთარი პრობლემების გადაჭრა თვითონვე შეძლონ. გაიზარდება მოქალაქეთა ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი; გუბერნატორთან ჩამოყალიბდება ადგილობრივი მერების, გამგებლებისა და საკრებულოს თავმჯდომარეებისგან დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთან ერთად იზრუნებს თავისი რეგიონის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის პროექტს გარკვეული ჯგუფების მხრიდან ვნებათაღელვა მოჰყვა, ცალსახად და მკაფიოდ მინდა განვაცადო, რომ თვითმმართველობის კოდექსის არც ერთი მუხლი არ შეიცავდა და არ შეიცავს ქვეყნის ერთიანობისთვის საფრთხეებს. როგორც იცით, თვითმმართველობის კოდექსი საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო.

2013 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ცენტრალური ავტომაგისტრალის მშენებლობა. საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამშენებლო სამუშაოებს ერთდროულად ავტომაგ-

ისტრალის ხუთ მონაკვეთზე ახორციელებდა.

დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა ქობულეთის შემოვლითი გზის 12,4-კილომეტრიანი მონაკვეთი. მოეწყო 13 წყალგამტარი მილი, აშენდა 14 სახიდე გადასასვლელი და 3 მიწისქვეშა გასასვლელი; მოეწყო სადრენაჟე სისტემები.

დაიწყო ქობულეთის შემოვლითი გზის მომდევნო 19-კილომეტრიანი მონაკვეთის შენობობა, რომელიც 2016 წელს დასრულდება.

აქტიურად მიმდინარეობს ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის 15 კილომეტრიანი, ქუთაისის შემოვლითი გზის 17 კილომეტრიანი და ქუთაისი-სამტრედიის გზის 14 კილომეტრიანი მონაკვეთების მშენებლობა. მათი დასრულება

ფარი მოეწყო 28,4 კილომეტრზე, ხოლო მოძრაობა გაიხსნა 15,4 კილომეტრზე.

თუ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მიმდინარე სამშენებლო აქტივობას წინა წლის მონაცემებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ წელს 34 კილომეტრით მეტ მონაკვეთზე გვქონდა აქტივობა, ვიდრე შარშან. წელს 15,4 კილომეტრი გზა გავხსენით, ეს მაშინ, როცა შარშან ცენტრალურ ავტომაგისტრალზე მხოლოდ კილომეტრნახევარი გზა გაიხსნა.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას.

გაიხსნა საერთაშორისო მნიშვნელობის



ბა 2014-2015 წლებში ეტაპობრივად მოხდება. სამუშაოები მიმდინარეობს, ასევე, რუისი-აგარის 19 კილომეტრიანი მონაკვეთზე, სადაც რამდენიმე დღის წინ 3 კილომეტრი უკვე გავხსენით.

სატენდერო პროცედურები დასრულდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე - ესაა თბილისი-რუსთავის მონაკვეთი, აგრეთვე, აგარა-ზემო ოსიაურისა და სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთებზე, სადაც გამარჯვებული კომპანიები სამუშაოებს 2014 წლიდან დაიწყებენ.

მიმდინარეობს ჩუმათელეთი-ზესტაფონის, ანუ რიკოთის უტელტეხილის მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტის შემუშავება.

მთლიანობაში, 2013 წელს სამშენებლო სამუშაოები ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 111 კილომეტრზე მიმდინარეობდა. გზის სა-

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის კობი-გუდაურის 19-კილომეტრიანი მონაკვეთი, შეკეთდა იქ არსებული გვირაბები და გალერეა, გარკვეულ მონაკვეთებში გაფართოვდა გზა. აღსანიშნავია, რომ ამ გზას 1991 წლის შემდეგ რეაბილიტაცია არ ჩატარებია.

ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის განახლების შემდეგ რეაბილიტაცია ჩატარდა საქართველო-რუსეთის საზღვართან არსებული ნეიტრალური ტერიტორიის კილომეტრნახევრიან მონაკვეთს. შეკეთდა იქ არსებული ხიდი და გვირაბი;

აქტიურად მიმდინარეობდა წყალტუბო-ლენტეხის, დედოფილსყარო-ქვემო ქედის, ალჰანა-უნერის, ალჰანა-ორბელის, შუქრეთი-უსახელო-კორბოულის, წყალტუბო-ხონის, იგოეთი-ლამისყანის, ინგირი-შამგონის, მუხური-თაიას, საჯიჯაო-ლესიჭინეს, ჯვარი-ჩქვალერი-საჩინოს, მონგირი-ახეთის, თბი-

ლისი-თიანეთის, თიანეთი-ჟინვალის, ზარ-
ზმა-ადიგენისა და სხვა გზების რეაბილიტაცია.

მთლიანობაში, 2013 წელს რეაბილიტაცია ჩაუ-
ტარდა 260 კილომეტრ გზას, ანუ 60 კილომეტ-
რითმეტს, ვიდრე მარშან, 45 ხიდს (მარშან მათი
რაოდენობა 28 იყო) და 5 გვირაბს, მაშინ, როცა
შანშან მხოლოდ 2 გვირაბი რეაბილიტირდა.

სამინისტრო, ასევე, დიდ ყურადღებას უთ-
მობდა სასოფლო გზებისა და სხვა შიდასახ-
ელმნიფობრივი გზების რეაბილიტაციას. მუ-
ნიციპალური განვითარების ფონდის მიერ
წელს 21 ასეთი გზა შეკეთდა, რომელზეც 15
მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. მიმდინარე-
ობს, ასევე, 31 მილიონი ლარის სამუშაოები.

2013 წელს სამინისტრომ ერთ-ერთ პრიორი-
ტეტად მოსახლეობის სასმელი წყლით უზ-
რუნველყოფა გამოაცხადა. ევროპის საინ-
ვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი 40
მილიონი ევროს ოდენობით სესხის ფარ-
გლებში 17 ქალაქში მასშტაბური სარეა-
ბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია.

აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით
დაიწყო ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალ-
მომარაგების 60-მილიონიანი პროექტი; პროექ-
ტის შუდევად, ფოთსა და ანაკლიას მთლიანად,
ასევე, ქუთაისის 75%-ს 24-საათიანი, ხოლო 25%-
ს გაუმჯობესებული წყალმომარაგება ექნება;

დონორი ორგანიზაციებიდან 32 ქალა-
ქის რეაბილიტაციისთვის მოზიდულ
იქნა 300 მილიონ ლარამდე ინვესტიცია;

საქართველოსა და ევროპის საინვესტი-
ციო ბანკს შორის ხელი მოეწერა შეთანხმე-
ბას, რომელიც 25 მუნიციპალიტეტსა და 3
დაბაში წყალმომარაგების სამუშაოებს ით-
ვალისწინებს. ამისათვის საქართველო 40
მილიონი ევროს დაფინანსებას მიიღებს.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის
სახსრებით 16 ქალაქში დაიწყო დადამატებით 11
ქალაქში დაიწყება 6 400 000 ლარის ღირებულებ-
ის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2013 წელს შექმნილ იქნა წყლის ხარისხ-
ის თანამედროვე მობილური ლაბორა-
ტორიები და ქუთაისი, წყალტუბო, ოზურ-
გეთი, ფოთი, გორი, ახალციხე, ბოლნისი და
თელავი მოძრავი ლაბორატორიებით აღი-
ჭურვა. ქუთაისის სერვის ცენტრსა და მცხ-
ეთის ტრენინგ ცენტრში დამონტაჟდა მრიცხ-
ველის შესამოწმებელი ლაბორატორიები.

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულმა წყალ-
მომარაგების კომპანიამ 2013 წელს დამატე-
ბით 36 ათასი აბონენტი გაამრიცხველიანა.
თუ მარშან აბონენტებისგან მთელი წლის
განმავლობაში შემოსავალი მხოლოდ 213
ათასი ლარი იყო, წელს ეს ციფრი მილ-
იონ ოთხასი ათას ლარამდე გაიზარდა.

2013 წელს საავტომობილო გზების დეჰარ-
ტამენტი და მუნიციპალური განვითარების
ფონდი აქტიურად ახორციელებდნენ ნაპირ-
დამცავ სამუშაოებს. განსაკუთრებით გამოსაყ-
ოფია სამი პროექტი: მდინარე ცხენისყლის
ნაპირდაცვა სოფელ ტასურიაში, რომელმაც
ათამდე სოფელს ცენტრალურ გზასთან დაკავ-
შირების პრობლემა მოუხსნა; დაიწყო ანაჟ-
ლიის სანაპირო ზოლის ნაპირდამცავი სამ-
უშაოები. აქ ნაპირგამაგრება ტეტრაპოდებით
მიმდინარეობს; სატენდერო პროცედურების
დასრულების შემდეგ ანალოგიური სამუშაოე-
ბი ბათუმის სანაპირო ზოლზეც დაიწყება.

2013 წელს რეგიონული განვითარებისა და ინ-
ფრასტრუქტურის სამინისტრო განსაკუთრე-
ბით ზრუნავდა დევნილთათვის ღირსეული
საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის.
ქუთაისში, თერჯოლაში, ვანში, წყალტუბოში,
ზესტაფონში, ფოთში, ზუგდიდში, ქარელ-
სა და მარნეულში რეაბილიტაცია ჩატარ-
და დევნილთა საცხოვრებელ კორპუსებს,
რაზეც 12 მილიონამდე დაიხარჯა. ბინები
335 დევნილ ოჯახს უკვე გადაეცა. წელსვე
დაიწყო 15 ახალი საცხოვრებელი კორპუ-
სის მშენებლობა ზუგდიდსა და ფოთში.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას
აქცევდა კონფლიქტისპირა სოფლებში ინ-
ფრასტრუქტურული პროექტების განხორციელ-
ებას. 2013 წლის განმავლობაში კონფლიქტის
ზონაში რამდენიმე მასშტაბური პროექტი განხ-
ორციელდა. მოხდა სალთვისი-ტირიფონის
საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია. სალთვი-
სის სარწყავი არხით 16 სოფელს, ხოლო ტირი-
ფონის სარწყავი არხით 23 სოფელს საირიგა-
ციო წყლით მომარაგების პრობლემა მოუხსნა.
ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულე-
ბით, ჰატარა ლიახვის ხეობაში, ოკუპირებული
ტერიტორიების მიმდებარე სოფლების - ზარდ-
იანთყარის, დიდი ხურვალეთის, გუგუთანთ-
ყარისა და კომუას მოსახლეობის სასმელი წყ-
ლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით,
დამატებითი ჭაბურღილების ბურღვა განხორ-
ციელდა. პროექტის განხორციელების შედე-
გად, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე
სოფლებს წყალმომარაგების პრობლემა მოუგ-
ვარდადამოსახლეობა წყალს ყოველდღიურად
იღებს; კონფლიქტის ზონის სოფლებში რეა-
ბილიტაცია ჩატარდა სალოტამენი-დვანის,

გორიჯვის, ლამისყანა-ახმაჯი-თვაურების, ქარალეთი-ქვეშის საავტომობილო გზებს;

2013 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი ქვეყნის მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობის თაობაზე. მშენებლობისთვის 2 მილიონ 400 ათასი ლარია გამოყოფილი და მას მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

საუკუნის პროექტები - ასე შეფასდა სამინისტროს მიერ წამოწყებული სამი პროექტი, რომელიც ქვეყნის სამ სხვადასხვა რეგიონში დაიწყო.



2013 წელს მდინარე ალაზანზე, ყაჯლისყურეში, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელმაც საქართველოს 200 ჰექტრამდე მიწა შეუნარჩუნა. უკვე მრავალი წელია, აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარის ადიდების დროს საქართველო ტერიტორიებს ჯარგავს. ალაზნის სანაპირო ზოლის გაუმაგრებლობის შემთხვევაში, საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიის 200 ჰექტარზე მეტ მიწას, რომელიც, წყლის მოვარდნის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიას მოწყდებოდა. ყაჯლისყურეში დასრულებული სამუშაოების შემდეგ დღის წესრიგში მდინარე ალაზნის სხვა ტერიტორიის ნაპირგამაგრებაა, რომელიც 2014 წლისთვის არის დაგეგმილი.

2013 წელსვე გადაწყდა ხევსურეთსა და რაჭაში სრულიად ახალი გზის გაჭრა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის დაფინანსების წყაროები, პრაქტიკულად, მოძიებულია.

არხოტი-როშის გზა პირიქითა და პირაქეთა

ხევსურეთს ერთმანეთს დააკავშირებს. გზის მშენებლობა 2014 წლის გაზაფხულზე დაიწყება. ამ დრომდე იქ მხოლოდ საცალფეხო ბილიკი არსებობს და ადგილობრივებს, რომლებმაც მხარე უგზოობისა და პირობების არქონის გამო დატოვეს, საკუთარ სახლში მისვლა, პრაქტიკულად, არ შეუძლიათ. საავტომობილო გზის გაჭრის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნების მზაობა უკვე 32 ოჯახმა გამოთქვა.

ახალი გზის მშენებლობა დაიგეგმა რაჭაშიც. საჩხერე-შქმერი-ონის გზის მონაკვეთზე პირველმა ტრაქტორმა ოქტომბერში უკვე გაიარა. ინტენსიური სამუშაოების დაწყება კი 2014 წლისთვისაა დაგეგმილი. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, თბილისიდან ონამდე გზა ორსაათნახევარში დაიფარება. რაც მთავარია, სიცოცხლე დაუბრუნდება ზემო რაჭის პრაქტიკულად დაცლილ ხეობას. ამ მონაკვეთზე გზის გაყვანა არაერთ ახალ სოციალურ და ეკონომიკურ პერსპექტივას გააჩენს.

2013 წელს მნიშვნელოვანი ტონისძიებები განხორციელდა ნაგავსაყრელების მოწესრიგების კუთხითაც. მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ქვეყნის მასშტაბით 49 ნაგავსაყრელი აიღო მართვაში. 9 ქალაქში გაიხსნა კომპანიის ოფისები. მთლიანობაში, შესა-

ბამისი მძიმე ტექნიკის გამოყენებით, წლის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში 49 პოლიგონის მოწესრიგება ხორციელდებოდა. კეთილმოეწყო და გამართულ საექსპლუატაციო რეჟიმში შევიდა რვა პრიორიტეტული ნაგავსაყრელი თელავში, გორში, მცხეთაში, ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისში, ოზურგეთსა და ზუგდიდში.

შემუშავდა იმერეთის რეგიონის ახალი სანატარული ნაგავსაყრელის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს დაიწყება იმერეთის ახალი, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობა, ხოლო ქუთაისის არსებული - ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელი მომავალში დაიხურება და რეკონსტრუქციულ ზონად გადაკეთდება. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულება 2016 წლისთვისაა დაგეგმილი;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად ზრუნავს საკურორტო ზონების განვითარებაზე. მეტეაში გრძელდება თეთნულდის სათბ-



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ილამურო ეურორტის განვითარების პროექტის განხორციელება. 2013 წელს 3,2 ჰექტარზე მოეწყო სასაწყობე მეურნეობა, სადაც საფრანგეთიდან მიღებული 170-მდე კონტეინერია დასაწყობებული, ხოლო 2014 წლიდან დაიწყება ახალი საბაგრო გზების დამონტაჟება.

2013 წელს დასრულდა ყვარლის რეაბილიტაცია, მოეწყო ილიას ტბასთან მისასვლელი გზა, ინტენსიურად გრძელდება წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტი.

როგორც იცით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს წვევამდელთა განვევას. მიმდინარე წელს მთლიანობაში 10 ათასამდე წვევამდელის განვევა მოხდა. საგაზაფხულო განვების დროს 2 300 წვევამდელი გავიწვიეთ, ხოლო საშემოდგომო განვებისას, რომელიც ახლახან დასრულდა, 7 300 წვევამდელი.

2013 წელი რეგიონებისთვის უპრეცედენტო მხარდაჭერის წლად იქცა. წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დამტკიცებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აღნიშნული პროგრამების საერთო ღირებულებამ 2013 წელს 270 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც, წინა წლებთან შედარებით, უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული თანხების ფარგლებში, მოხდა მუნიციპალური გზების, წყალმომარაგების, ნაპირდაცვისა და სხვა პრობლემების მოწესრიგება. ორივე პროექტის ფარგლებში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მათასამდესაშუალოდამცირეზომისინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

მთლიანობაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პრო-

ექტების ფონდითა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონების მიხედვით პროექტებისა და ღირებულების განაწილება:

- აჭარა - 630 პროექტი; ჯამური ღირებულება - 4 890 032 ლარი;
- გურია - 635 პროექტი; ჯამური ღირებულება - 18 140 886 ლარი;
- იმერეთი - 1608 პროექტი, ჯამური ღირებულება - 61 693 407 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1249 პროექტი; ჯამური ღირებულება - 45 209 979 ლარი;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 374 პროექტი; ჯამური ღირებულება - 10 112 137 ლარი;
- შიდა ქართლი - 533 პროექტი, ჯამური ღირებულება - 24 335 010 ლარი.
- მცხეთა-მთიანეთი - 603 პროექტი, ჯამური ღირებულება - 14 141 332 ლარი;
- სამცხე-ჯავახეთი - 481 პროექტი, ჯამური ღირებულება - 23 047 232 ლარი;
- ქვემო ქართლი - 512 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 770 843 ლარი;
- კახეთი - 672 პროექტი, ჯამური ღირებულება - 35 724 750 ლარი.

სამინისტრო ხელმძღვანელობდა რამდენიმე სამთავრობო კომისიას. მათ შორის, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევასა და აღმინისტრირებას ახორციელებდა; აღწერის კომისიას. როგორც იცით, საყოველთაო აღწერა საქართველოში

2014 წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს. მოსამზადებელი სამუშაოები 2013 წელს დაიწყო. უკვე ჩატარდა აღწერის პირველი ეტაპი.

სამინისტრო ხელმძღვანელობდა, ასევე, პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსწავლელ სამთავრობო კომისიას, რომელმაც წლის განმავლობაში არაერთ პრობლემურ საკითხზე იმუშავა.

აქტიურად იმუშავა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამაც. კომისიამ ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შეიქმნა მიუსაფართა პრობლემების მოგვარებაზე მომუშავე უწყებათშორისი კომისია. ზამთრის დადგომისთანავე მოსკოვის პროსპექტზე გაიხსნა მიუსაფართა თავშესაფარი, სადაც ამჟამად 200-ზე მეტი დამიანი ცხოვრობს, აქვს სითბო, საყვები, ტანსაცმელი, მედიკამენტები და ყველა პირობა, რომ მეტნაკლებად ნორმალურად გამოიხამთროს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფიქრობს და განიხილავს პრობლემის მოგვარების გრძელვადიან გეგმებზეც.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მთელი წლის განმავლობაში ოპერატიულად ახდენდა რეაგირებას ქვეყნის მასშტაბით მომხდარ სტიქიებსა და მისით გამოწვეულ პრობლემებზე. 2011 წელს საქართველოში 48 სტიქიური მოვლენა მოხდა, 2012 წელს - 52, ხოლო 2013 წელს - 82. სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად წელს საქართველოს მთავრობამ 50 მილიონი ლარი დახარჯა. დაგეგმილია, ასევე, პრევენციული ღონისძიებები, რომელიც სტიქიისგან მიყენებულ ზიანს შეამცირებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2013 წელს სხვადასხვა სოციალურ აქციაში აქტიურად იყო ჩართული. მთელი წლის განმავლობაში სამინისტრო და მისი ქვემდებარე სტრუქტურული ერთეულები, ტეიკემით დაავადებული ბავშვების მხარდასაჭერად, ჩართული იყვნენ უანგარო დონაციის პროგრამაში - გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე .

2013 წელს სამინისტრომ რამდენიმე გარემოსდაცვით ღონისძიებაში მონაწილეობდა. მათ შორის იყო გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად გამართული დასუფთავებისა და გამწვანების აქციები მცხეთაში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ წლის დასაწყისში თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად უწყების გამჭვირვალობა და საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება დაისახა მიზნად. სამინისტრომ უარი თქვა ძველ, მანკიერ პრაქტიკაზე და ერთ-ერთი ყველაზე გაუმჭვირვალე უწყებიდან ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე სამინისტროდ ჩამოყალიბდა. 2013 წლის სექტემბერში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სამინისტრო ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დაასახელა და ჯილდო "2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის" გადასცა. წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით უწყებაში შემოსული 85 განცხადებიდან რეაგირება ყველა მათგანზე მოხდა. შეიქმნა ახალი ვებ-გვერდი, რომელზეც საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება, ხოლო მოქალაქეს ინფორმაციის გამოთხოვა ელექტრონული ფორმით შეუძლია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, 2013 წლის მსგავსად, მომდევნო წელსაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება აქვს დაგეგმილი. ყველა პროექტი მოქალაქეზე და მისი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

სიხლუაბი მუნიციპალიტეტებიდან

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ემიკო ფეიქრიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება, ერთ დროს, ქარელის პოლიციის ყოფილმა მოადგილემ და, ამჟამად, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე საყრებულოს მიერ არჩეულმა, კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა ზაზა გულიაშვილმა დაწერა. გულიაშვილის არჩევამდე გამგეობის პირველ პირს ემიკო ფეიქრიშვილი წარმოადგენდა.

02
ნოემბერი

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, კოალიციული ემიკო ფეიქრიშვილის კანდიდატურა გამგეობას რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლერი ხაბელოვმა წარუდგინა. თავდაპირველად ფეიქრიშვილი გამგებლის მოადგილე იყო. მისი პირველი ხელმძღვანელი ივანე ოსაძე ქრთამის აღების ბრალდებით 2013 წლის აპრილში დააჯავს. მის ნაცვლად ფეიქრიშვილი გამგებლის მოვალეობის შესრულებას 2013 წლის 30 აგვისტომდე ასრულებდა, ვიდრე საყრებულომ ქარელის პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე არ აირჩია. გულაშვილის დანიშვნის შემდეგ ფეიქრიშვილი მოადგილის პოსტს დაუბრუნდა.

როგორც გულიაშვილი აცხადებს, ფეიქრიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება დისციპლინალური გადაცდომების საფუძველზე მოხდა. თავის მხრივ, ემიკო ფეიქრიშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა. "ჩემი გათავისუფლება უსამართლოდ მოხდა. მე გამათავისუფლეს მედიასთან კონტაქტის გამო. მოგეხსენებათ, მე აქტიურად ვურთიერთობდი სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქარელის მუნიციპალიტეტის საყრებულოს თავმჯდომარემ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შემინჯვითა და ჩემს ადგილზე ზაზა გულიაშვილი დანიშნა.

ჰაატა ღვიანიაშვილის ამ უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილების შესახებ მე სხვადასხვა ჟურნალისტებს ვესაუბრე. მე ვთვლი, რომ სწორედ მედიასთან კონტაქტის გამო მიიღო ზაზა გულიაშვილმა ჩემთვის გამგებლის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის გადაწყვეტილება", - განაცხადა ემიკო ფეიქრიშვილი. იგი მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას

აპირებს. ემიკო ფეიქრიშვილს საადვოკატო მომსახურებას საია გაუწევს.

ქუთაისი მერის მოვალეობის შემსრულებლის გარეშეა დარჩენილი

04
ნოემბერი

აღნიშნულ თანამდებობას უკოტელომიძე იკავებდა, რომელსაც დღეს უფლებამოსილება შეუწყდა.

როგორც "პირველის" ადგილობრივ კორესპონდენტს ქუთაისის მერიაში განუცხადეს, ვინ შეასრულებს მერის მოვალეობას, ამის შესახებ გადაწყვეტილება საყრებულოს თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა უნდა მიიღოს.

ცნობისთვის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქალაქმა 3 მერი და მერის მოვალეობის 5 შემსრულებელი გამოიცვალა.

"ქართული ოცნების" რაიონულ ორგანიზაციას ქუთაისის მერის ხშირი ცვლილება არამიზანდარდოვნად მიუჩნია

06
ნოემბერი

როგორც ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მანანა მიქაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ისინი ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლების მუდმივ ცვლას გამოეხიზნა და აცხადებენ, რომ ეს ქალაქის განვითარებას აფერხებს.

"ქართული ოცნების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ ასევე მოითხოვა, შეიცვალონ ქალაქის მერიაში მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები და კომისია იმ პიროვნებებით დაკომპლექტდეს, რომელსაც ქუთაისელები ენდობიან.

"ქუთაისმა ბოლო თვეების განმავლობაში 3 მერი და 6 მოვალეობის შემსრულებელი გამოიცვალა. ეს ყველაფერი ქალაქის განვითარებას აფერხებს და საჭიროა, ახალმა მუდმივმოქმედმა კომისიამ შეარჩიოს მერი, რომელიც ქალაქს უახლოესი წლების განმავლობაში უხელმძღვანელებს", - განაცხადა მიქაძემ.

საია თბილისის საარეზულო 22 თანამშრომლის დაუსაბუთებლად გათავისუფლების ფაქტს ეხმიანება

07
ნოემბერი

საქართველოს ახალგაზრდა ორისტა ასოციაციას 2013 წლის 7 ოქტომბერს მომართა

ქალაქ თბილისის საკრებულოს ოცდაორმა ყოფილმა თანამშრომელმა, განცხადებაში მათ მიუთითეს, რომ სექტემბერში სამსახურიდან გათავისუფლდნენ საკრებულოში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის მოტივით და ითხოვეს გათავისუფლების ხანონიერების საკითხის შესწავლა.

საიამ შეისწავლა ზემოაღნიშნულ პირთა განცხადება, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, საკრებულოდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მითითებულ პირთა გათავისუფლება ხანონდარღვევით მოხდა. ეს მოსაზრება შემდეგ გარემოებებს ემყარება:

1. ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის №96-ე დადგენილებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72-ე დადგენილებაში და საკრებულოს სამტაგო ერთეულთა რაოდენობა განისაზღვრა 199 ერთეულით.

2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებით შტატების შემცირების მიზნით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში დაიწყო რეორგანიზაცია. თუმცა, სინამდვილეში შტატები არათუ შემცირდა, არამედ 2013 წლის 19 აგვისტოს №100 დადგენილებით გაიზარდა და განისაზღვრა 222 ერთეულით, ხოლო 2013 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით – 223 ერთეულით; 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილების საფუძველზე შტატების რაოდენობა ყვლავ შეიცვალა და განისაზღვრა 210 ერთეულით. ანუ რეორგანიზაციის დაწყებამდე (16 აგვისტო) არსებული 199 სამტაგო ერთეული საბოლოოდ 11 ერთეულით გაიზარდა.

2. 2013 წლის 17 სექტემბერს საკრებულოს 22 თანამშრომელი შტატების შემცირების მოტივით თანამდებობიდან გათავისუფლდა. თუმცა, როგორც აღინიშნა, რეორგანიზაციის შედეგად შტატები მთლიანობაში გაიზარდა. შესაბამისად, გაუგებარი რჩება, შტატების შემცირების მოტივი შტატების რეალური ზრდის ფონზე, როგორ გახდა თანამშრომელთა გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი.

3. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შტატები შემცირდებოდა, საკრებულოს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაასაბუთოს, რატომ გათავისუფლდა ესა თუ ის პირი თანამდებობიდან; სხვა პირს რა კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე მიენიჭა მასთან შედარებით პრიორიტეტი; რატომ ვერ აკმაყოფილებენ გათავისუფლებული თანამშრომლები რეორგანიზაციის პროცესში არსებულ

მოთხოვნებს და, საერთოდ, რა შინაარსის იყო ეს მოთხოვნები, ვინ განსაზღვრა ისინი და ვინ შეამოწმა, რომელი თანამშრომელი აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას და რომელი - არა. ამ ან სხვა მსგავს კითხვებზე რაიმე პასუხს თუ დასაბუთებას გათავისუფლების აქტი არ შეიცავს.

4. ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილებით განსაზღვრული არაა სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტისა და მთავარი სპეციალისტის ფუნქციური სხვაობა. შესაბამისად, ჩვენთვის გაურკვეველია ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის განყოფილებებსა და შესაბამის კომისიებში რა მიზნით მოხდა სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტისა და მთავარი სპეციალისტის შტატებში ცვლილებების განხორციელება.

5. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავად რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 აგვისტოს განკარგულება არ შეიცავს დასაბუთებას თუ რა კონკრეტულმა გარემოებებმა განაპირობა რეორგანიზაციის გამოცხადება; რომელი სტრუქტურული ერთეული უნდა გაუქმებულიყო ან შეინარჩუნებოდა სხვას და რატომ. არც მოქალაქეების მიერ საიაში წარმოდგენილი და არც საიას მოთხოვნის შედეგად საკრებულოდან მიღებული არცერთი აქტი მსგავს დასაბუთებას არ შეიცავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საკრებულოს არ აქვს დასაბუთებული არც რეორგანიზაციის განხორციელების საჭიროება და არც თანამშრომელთა გათავისუფლების ხანონიერება. შესაბამისად, მოვეწოდებით ქ. თბილისის საკრებულოს, გადაამოწმოს როგორც, ზოგადად, რეორგანიზაციის მიზანშეწონილობა, ასევე კონკრეტული თანამდებობის პირების სამსახურიდან გათავისუფლების საქართველოს ხანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი.

ინფრასტრუქტურული პროექტების რევიზია 230 მილიონი ლარი გამოყო

09 ნოემბერი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, შოთა მურულუა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს შეხვდა .

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მინდინარეობა და მომდევნო წლის გეგმები განიხილეს.

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს წელს უპრეცედენტოდ დიდი თანხა - 230 მილიონი ლარი გამოუყოთ. შედარებისთვის, გასულ წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან იგივე მიზნისთვის მხოლოდ 64 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.

"ჩვენ განვიხილეთ ის, თუ რომელი პროექტების დასრულება ესწრება წელს და რომლისა - ვერა. ძირითადად, დაგეგმილი სამუშაოები ესწრება, ტემპი უარგია, თუმცა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, პროექტების ნაწილის დასრულება მომავალი წლის დასაწყისისთვის გადაინვს. ამ შეხვედრაზე განვიხილეთ, ასევე, მომავალი წლის პროგრამები. გვინდა, წელსვე გავიაროთ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომ დრო არ დაგვარგოთ. პროექტირებისა და ტენდერებისთვის მომავალი წლის ზამთარს გამოვიყენებთ, რათა 2014 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ადრე დავიწყოთ. გაისად სამუშაო ამ მიმართულებით იმაზე მეტი ქნება, ვიდრე წელს იყო", - განაცხადა შოთა მურღულიამ.

წელს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან საქართველოს მასშტაბით 695 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდა.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება 20 ნოემბერს ეწერება

13 ნოემბერი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის თამაზ მარგველაშვილის თქმით, საკრებულოში შემავალ ფრაქციებს ჯერჯერობით, არ უმსჯელიათ, თუ ვის ჩააბარებენ 20 ნოემბრის შემდეგ მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობას, თუმცა მარგველაშვილის თქმით, შესაძლოა, ამ თანამდებობაზე მათ ევლავ გიორგი შარაბიძე დატოვონ.

"შესაძლებელია, რომ მერის მოვალეობის შემსრულებლად ევლავ შარაბიძე დარჩეს, თუმცა უახლოეს მომავალში გამოცხადდება კონკურსი მერის თანამდებობაზე", - განაცხადა მარგველაშვილმა.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ამ განცხადებას, მოქმედი მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შარაბიძე ეხმაურება.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელეობის 35 წლის გამოცდილება აქვს, ის არ არის მზად, იყოს ამ თანამდებობაზე.

"ვიცე-მერის მოვალეობაა, როცა მერი არ არის, მან შეასრულოს ეს თანამდებობა, თუმცა ჩემი ასაკის და გამოცდილების მიუხედავად, არ ვარ მზად, მეჭიროს ეს პოზიცია. მირჩევნია, ვიყო ვიცე-მერი", აცხადებს შარაბიძე.

ქუთაისის 2014 წლის სასტატო ბიუჯეტი 42 მლნ 168 ათასი ლარია

15 ნოემბერი ქუთაისის 2014 წლის სასტატო ბიუჯეტი 42 მლნ 168 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც მიმდინარე წლის სასტატო ბიუჯეტს 939 000 ლარით ჩამორჩება. აღნიშნულის შესახებ, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, გია შარაბიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

შარაბიძის თქმით, მომავალი წლის სასტატო ბიუჯეტში ამ დროისთვის განსაზღვრული არ არის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერი.

"შესაბამისად, სამინისტროს ჩვენ უნდა წარვუდგინოთ ქალაქში განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ამის მიხედვით მოხდება თანხის გამოყოფა", - განმარტა შარაბიძემ.

მისი თქმით, 42 მლნ 168 ათასი ლარიდან 29 მლნ 276 800 ლარი გათანაბრებითი ტრანსფერია.

ქუთაისის მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვას საკრებულოს შესაბამისი კომისიები დღეიდან დაიწყებენ. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შარაბიძის განმარტებით, ახალი მუხლები იქნება ჩადებული.

ქალაქში მცხოვრები ეპილექსიით დაავადებულთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა, ქალაქის საჯარო სკოლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეების (სულ არის დაახლოებით 4500 ბავშვი) პროფილაქტიკური გასინჯვა, ასევე მრავალშვილიანი დედები, რომლებსაც 4 ან მეტი შვილი ჰყავთ, თითოეულ ბავშვზე მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას 20 ლარის ოდენობით.

გიორგი მარგველაშვილი გუბერნატორების შერჩევის საკითხში არ ჩაერთვება

15 ნოემბერი საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი ახალი გუბერნატორების შერჩევის საკითხში არ ჩაერთვება. როგორც მარგვე-

ლაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს მთავრობის პრეროგატივაა.

"მთავრობას აქვს ამ საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივა და მე არანაირად არ ვერევი მთავრობის ამ პრეროგატივაში. მინდა შეგახსენოთ, რომ განახლებული კონსტიტუციით პრეზიდენტი პარლამენტთან კონსულტაციით ასახელებს პრემიერ-მინისტრს და არა მინისტრებსა და გუბერნატორებს. თქვენ იცით, რომ პრემიერ-მინისტრად დასახელებულია ირაკლი ღარიბაშვილი და ესაა ჩემგან გაცხადებული. რაც შეეხება გუბერნატორებს, მე ამ საკითხში არ ვერევი, რადგან მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის დაცვა არის მთავარი", - განუცხადა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს.

თანამდებობიდან ისევ გადააყენეს სენაის საარაბულოს თავმჯდომარე

18
ნოემბერი

სენაის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მეორედ გადააყენა მურად შამათავა სენაის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. საკრებულოს წევრები მას უნდობლობას უცხადებენ, თუმცა ჟურნალისტებთან საუბრისას კონკრეტულად არ ასახელებენ რა მიზეზით. გადაწყვეტილებას, საკრებულოს წევრებსა და მურად შამათავას მხარდამჭერების შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ზურაბ ხაბურძანიამ საკრებულოს წევრებს, სხდომაზე დღესაც ის დოკუმენტი წარუდგინა, რომლითაც მურად შამათავას უნდობლობა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 ივნისს გამოუცხადეს.

"ქართული ოცნების" წევრის, ლევან გულორდავას განცხადებით, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს პოლიტიკური ნიშნით უპირისპირდებიან:

"პირველივე დღეს, როცა მათ ჯერ არც კი იცოდნენ, როგორ მუშაობდა და რას აპირებდა მურად შამათავა, დაახვედრეს გადადგომის შესახებ ხელმოწერა. ისინი ემსახურებიან ყოფილ ხელისუფლებას და ასრულებენ მათ მითითებას".

მურად შამათავას თანამდებობიდან გადაყენების საკითხს მხარი დაუჭირა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 16 წევრიდან 14-მა. მათ შორის "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელმა ბესიკ წარმანიამ.

"პარტიებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ

აქვს. მე მას მხოლოდ პიროვნულად ვუცხადებ უნდობლობას", - განუცხადა ნარმანიამ ჟურნალისტებს.

თავად მურად შამათავამ ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებას მისი გადადგომის შესახებ, სასამართლოში გაასაჩივრებს.

მურად შამათავა სენაის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან 14 ივნისს, ხმათა უმრავლესობით გადააყენეს. იგი ამ პოსტზე პარლამენტის არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ დაინიშნა, მანამდე კი კოალიციის სენაის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა.

მურად შამათავა პარტია "თავისუფალი დემოკრატების" წევრია.

ვახტანგ ბალაშაძე ნაძალადევის რაიონის გამგებლად დაინიშნა

ნაძალადევის რაიონს ახალი გამგებელი ჰყავს., იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ვახტანგ ბალაშაძე.

ვახტანგ ბალაშაძე 1978 წელს, თბილისში დაიბადა. 2012 წლის 17 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე, ხოლო 2012 წელს ენერგეტიკასა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პოსტზე მუშაობდა. ვახტანგ ბალაშაძე 2004-2008 და 2008-2012 წლებში 2 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო.

ზუგდიდის ახალი წლის ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილის პროექტით 22 მლნ ლარს აღემატება

19
ნოემბერი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სამშემოსავლო ნაწილი პროექტით 22 715.0 მლნ ლარითაა წარმოდგენილი.

"ლაივპრესთან" საუბრისას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა ნანი მიქენაიამ განმარტა, რომ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 2 400.0 მლნ ლარითაა გაზრდილი.

მისი თქმით, ბიუჯეტი საბოლოოდ ტრანსფერების სახით გადმორიცხული თანხით დამტკიცების შემდეგ შეივსება.

"2013 წლის ბიუჯეტი 35 მილიონ ლარამდე იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ 2014 წლის ბიუჯეტი ამდენითაა შემცირებული. ბიუჯეტი დამტკიცების

შემდეგ ტრანსფერის სახით გადმორციხული თანხით იკვება", - აღნიშნა ნანი მიქნაიამ.

ქუთაისის მერის მოვალეობის ზამთრულ-ზღაღად შოთა მურულაია დაინიშნა

21
ნოემბერი

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი შოთა მურულაია დაინიშნა.

ამის შესახებ ჟურნალსიტებს საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა განუცხადა. "დღეიდან ქალაქის მერის მოვალეობას შოთა მურულაია დაიკავებს,"- ამბობს მარგველაშვილი.

ქუთაისის ვიცე-მერაბმა თანამდებობა დატოვა

21
ნოემბერი

ქუთაისის ვიცე-მერებმა თენგიზ თოფურიძემ და კოტე ლომიძემ თანამდებობა დატოვეს.

"მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო მერის მოადგილის თანამდებობა იმ მოტივით, რომ ახალ მერს საკუთარი გუნდის წევრების შერჩევის პროცესში თავისუფალი არჩევნის საშუალება მიეცეს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკანმოუხედავად მივდივარ ქ. ქუთაისის თვითმმართველობიდან. საჯაროდ ვადასტურებ, ყოველმხრივ შევუწყობ ხელი ახალ გუნდს მუშაობაში - გადავცემ ინფორმაციას, გავუწევ კონსულტაციას და მათთან ერთად მივიღებ მონაწილეობას ყველა იმ პროცესში, რაც ჩვენი ქალაქის აღმშენებლობას შეეხება. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ქ. ქუთაისის თვითმმართველობის ყველა ხელმძღვანელ პირს და თანამშრომელს 5 წლიანი ურთიერთთანამშრომლობისთვის და გამოვთქვა იმედი, რომ ჩვენი ცხოვრებისეული გზები რაღაც კონტექსტში აუცილებლად გადაიკვეთება."- აცხადებს თოფურიძე.

შეგახსენებთ, რომ დღეიდან ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლად რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, შოთა მურულაია დაინიშნა.

დავით ნარმანიამ გუბერნატორებთან დაპაპვირებით კომენტარი გააკეთა

21
ნოემბერი

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა განმარტა, კანონის თანახმად, ჯერ შესაბამისი დებულების პროექტი უნდა დამტკიცდეს.

მინისტრის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით

ირებით კონსულტაციები უახლოეს დღეებში დაიწყება.

"ჩვენ უკვე მოვამზადეთ დებულება და ამ დღეებში გვექნება განხილვები, რათა დავაზუსტოთ ცალკეული ფორმულირებები და დავასრულოთ ეს პროცესი. ამის შემდეგ დაიწყება კონსულტაციები. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი შევა ძალაში, გუბერნატორების ფუნქციები იზრდება. ისინი შეასრულებენ იმ პრიორიტეტებს, რომელსაც სამხარეო საბჭოები დაუდგენენ და მეორე მხრივ, ისინი ასევე იქნებიან ცენტრალური ხელისუფლების დავალებების შემსრულებლები", - განაცხადა დავით ნარმანიამ.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური უარყოფს ინფორმაციას, თითქოს გუბერნატორებზე პოლიციის უფროსები დაინიშნებიან

21
ნოემბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ქვეყნის მასშტაბით მხარეების გუბერნატორებზე პოლიციის უფროსები დაინიშნებიან, სიცრუეს უწოდებს.

როგორც პრესსამსახურში აცხადებენ, ამის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტგამოცემა "გურიის მოამბე" პრესსამსახურის არაოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავრცელდა, თუმცა, პრესსამსახურის არც ერთ თანამშრომელს ბოლო პერიოდის განმავლობაში არ ჰქონია არც პირადი და არც სატელეფონო საუბარი აღნიშნული გამოცემის წარმომადგენლებთან. "გვინდა გამოვხმაუროთ ინტერნეტგამოცემა "გურიის მოამბის" მიერ აწ 20 ნოემბერს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით მხარეების გუბერნატორებზე სამხარეო პოლიციის უფროსები დაინიშნებიან. როგორც გამოცემა აღნიშნავს, ამის შესახებ "გურიის მოამბეს" საქართველოს მთავრობის პრესსამსახურიდან არაოფიციალურად აცნობეს. ჩვენ დაუუკავშირდით გამოცემის დამფუძნებელ ლადო მენაბდეს და ვთხოვეთ განმარტება, თუ რომელ წყაროს დაყრდნობა ვინ მიანოდა მათ აღნიშნული ცნობა, თუმცა, სამწუხაროდ ვერანაირი განმარტება ვერ მივიღეთ.

დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ პრესსამსახურის არც ერთ თანამშრომელს ბოლო პერიოდის განმავლობაში არ ჰქონია არც პირადი და არც სატელეფონო საუბარი "გურიის მოამბის" წარმომადგენლებთან. აქედან გამომდინარე, გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სიცრუე და ემსახურება საზოგადოების

დუბინფორმირებას", - ნათქვამია განცხადებაში.

რა შენიშვნები აქვს ქუთაისის მმპ-ს ქალაქის 2014 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით?

25
ნოემბერი

ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო და ეკონომიკურ საკითხთა უკომისიებმა 2014 წლის ქუთაისის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს. მომავალი წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტთან დაკავშირებით უკომისიებს შენიშვნები ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების კუთხით ჰქონდათ.

ბიუჯეტის განხილვას ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია ესწრებოდა, რომლის განცხადებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დიდი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლებიდან ფინანსდება, მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროს ადგილობრივ ბიუჯეტშიც წამყვანი ადგილი ეკავოს.

"ჩემი შენიშვნა ეხება იმას, რომ 2014 წლის ბიუჯეტში, წინა წელთან შედარებით, ინფრასტრუქტურული პროექტების თანხები შემცირებულია, გასაგებია, რომ ცენტრალური ბიუჯეტი ამ პროექტებს აფინანსებს, მაგრამ ჩვენი ბიუჯეტიც უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ვინაიდან ინფრასტრუქტურა მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტი უნდა იყოს,"- აღნიშნა შოთა მურღულიამ.

ბიუჯეტის განხილვა დადებითად შეაფასა ქუთაისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო უკომისიების თავმჯდომარემ გოგიტა გოგელაშვილმა. რომლის განცხადებითაც, 2014 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებითი ნაწილი უნდა გაიზარდოს.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის მომავალი წლის ბიუჯეტი 42 168 800 ლარია, აქედან 29 მილიონი ლარი ტრანსფერს შეადგენს. 2014 წლის ბიუჯეტი გასულ, 2013 წლის ბიუჯეტთან შედარებით, შემცირებულია.

უკომისიების ერთობლივ სხდომაზე ასევე განიხილეს სათამაშო ბიზნესის, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგების საკითხები, სხდომაზე გაჟღერდა ინიციატივა, რომ ქალაქის გამწვანების მოწესრიგების მიზნით გამწვანების აიპი შეიქმნას, სადაც პროფესიონალი ჯადოები დასაქმდებიან.

სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნები გასათვალისწინებლად ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეგზავნება. მერის მოვალეობის

შემსრულებლის, შოთა მურღულიას ინიციატივით, შესაძლოა, 2014 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი 5 დეკემბრამდე დამტკიცდეს, რითიც, მისივე განცხადებით, წლის დასაწყისში ტენდერების გამოცხადებასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები აცილება მოხდეს.

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობა დატოვა

30
ნოემბერი

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ ჯაპანაძე თანამდებობიდან გადადგა.

როგორც "ტოპნიუსს" წყალტუბოს საკრებულოს ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ ლევან ჩაქსელიანმა განუცხადა, საკრებულოს თავმჯდომარემ განცხადება გადადგომის შესახებ გუშინ დანერა.

"ჩემი ინფორმაციით, ბატონი ნოდარი თანამდებობიდან ოჯახური პირობების გამო წავიდა, სხვა ინფორმაცია მე არ მაქვს,"- ამბობს ჩაქსელიანი.

საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა ჯაპანაძეს 4 თვე ეკავა. ის ამ თანამდებობაზე მას შემდეგ დაინიშნა, რაც წყალტუბოს საკრებულოს დეპუტატებმა საკრებულოს "ნაციონალი" თავმჯდომარე მამუკა სალარეიშვილი იმპიჩმენტით თანამდებობიდან გადააყენეს. ჯაპანაძის თანამდებობიდან გაშვების არაოფიციალურ მიზეზად კი წყალტუბოს საკრებულოში შეცდომით გამოცხადებული უკონკურსი სახელდება.

ქუთაისის იმპიჩმენტით გადაყენებული მერი ახალ მერს რჩევას აძლევს

30
ნოემბერი

ქუთაისის ყოფილი მერის ბესიკ ბრეგაძის თქმით, ქალაქის მოქმედ მერის მოვალეობის შემსრულებელს შოთა მურღულიას ქალაქის საკრებულოში, უმრავლესობაში მყოფ ფრაქცია "საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან" არასასურველი თამაში მოუწევს.

იმპიჩმენტით გადაყენებული ყოფილი მერის თქმით, ქალაქის საკრებულოში უმრავლესობაში მყოფი ფრაქცია ცდილობს პირადი მიზნებისთვის გამოიყენონ ქალაქი, ამიტომ ბესიკ ბრეგაძის თქმით, აუცილებელია ქალაქის პირველმა პირმა საკუთარი ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები. "მე ვიცი რა ძალასთან მოუწევს ქალაქის ამჟამად

მინდელ მერს თანამშრომლობა. ეს ძალა არის ის ფრაქცია, რომელიც პირადი მიზნებისთვის და კეთილდღეობისთვის იღებენ იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც ქალაქს არასოდეს წინ არ წაწევს,"- განაცხადა ბესიკ ბრეგაძემ, რადიო "ძველი ქალაქის" გადაცემა "რადიოქციაში" სტუმრობისას.

გურჯაანის ახალი გამგებელი

30
ნოემბერი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრებმა მუნიციპალიტეტის გამგებლად ემზარ ჯიქურაშვილი დაამტკიცეს. ჯიქურაშვილი გამგებლის მოვალეობის შემრულებლად რამდენიმე თვის წინ დაინიშნა. გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ერთი კანდიდატურა შეირჩა. საკრებულომ, საბოლოოდ, ჯიქურაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

ასპინძის გამგეობაში ჩამოყალიბებულ გავრთიანებას სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

02
დეკემბერი

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად ახალი სამსახური ჩამოყალიბდა. სოციალურ და ეკონომიკურ სამსახურს გიორგი თეგეტაშვილი უხელმძღვანელებს.

ასპინძის გამგეობაში ჩამოყალიბებულ გავრთიანებულ სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს მიმდინარე წლის 27 ნოემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეორგანიზაცია განხორციელდა, რის შედეგადაც სამსახურიდან 18 თანამშრომელი გაათავისუფლეს. რამდენიმე სამსახური კი განყოფილებებად ჩამოყალიბდა და ერთ, ახალშექმნილ სამსახურს დაექვემდებარა. ოპტიმიზაციის შედეგად, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების; საფინანსო-საბიუჯეტო და სახელმწიფო შესყიდვების; კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის; ასევე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურები განყოფილებებად გადაკეთდა. ოთხივე განყოფილება სოციალური და ეკონომიკური სამსახურის დაქვემდებარებაში გადავიდა.

აღნიშნული სამსახურის უფროსად 27 ნოემბერს ეკონომისტი გიორგი თეგეტაშვილი დაინიშნა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს, თბილისის გარდა, ტრანსფერული უზრუნველყოფა

03
დეკემბერი

2014 წლის ბიუჯეტის პროექტით, გარდა დედაქალაქისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსფერული იზრდება.

კერძოდ, თბილისის გარდა, სხვა თვითმმართველი ერთეულების ტრანსფერები ჯამურად გაზრდილია 76.0 მლნ. ლარით, ხოლო თბილისის ტრანსფერი შემცირებულია 49.9 მლნ. ლარით. მომავალი წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი პარლამენტს დასამტკიცებლად უკვე წარედგინა.

2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 9 080.0 მლნ ლარს შეადგენს, რომელიც შემდეგი წყაროებიდან ფინანსდება: საგადასახადო შემოსავლები - 6 820.0 მლნ ლარი; გრანტები - 144,0 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 355.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მისაღები სახსრები - 80.0 მლნ ლარი; გასულ წლებში გაცემული სესხების დაბრუნება - 70.0 მლნ ლარი; მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი - 136.0 მლნ ლარი; საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები - 300,0 მლნ ლარი; ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი საინვესტიციო კრედიტები - 600.0 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადიანობის მქონე სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება - 400.0 მლნ ლარი; სახელმწიფო ხაზინაში არსებული თავისუფალი ნაშთის გამოყენება - 175,0 მლნ ლარი.

ქასის მუნიციპალიტეტში 7 ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დაქავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს

13
დეკემბერი

ქასის მუნიციპალიტეტში შემავალი 7 ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დაქავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს გადაწყვეტილება ქასის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მიიღო.

თავად გოჩა გოჩიტაშვილი აცხადებს, რომ კანონის შესაბამისად მოხდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და იმ შემთხვევაში თუ სამსახურიდან გაათავისუფლებული რწმუნებულები სასამართლოს მიმართავენ, გამგეობის იურისტები საკუთარ პოზიციებს სასამართლოში დააფიქსირებენ.

13
დეკემბერი ვანის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ჯაჯაბაძე გადააყენეს. "ნაციონალი" ჟურნალის პოსტზე, ხმათა უმრავლესობით "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელი, ჯობა ძაგნიძე დაინიშნა.

როგორც ვანის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჯობა ძაგნიძე ნენჭრესს.გე - სთან საუბარში განმარტავს, საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე დადგა.

"ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური რეალობა და დღის წესრიგში დადგა ვანის საკრებულოს თავმჯდომარის შეცვლის საკითხიც. შეაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, საკრებულოს "ნაციონალი" თავმჯდომარე გადააყენეთ," - ამბობს ვანის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჯობა ძაგნიძე.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილე თანამდებობას ტოვებს

13
დეკემბერი სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე გელა დემეტრაძე ახალ გუბერნატორთან აკაკი მაჭუტაძესთან თანამშრომლობას არ აპირებს.

"არ ვიცი ახალ გუბერნატორს, წარმოდგენა არ მაქვს ვინ არის. ჯერ სამხარეო ადმინისტრაციაში არანაირი ინფორმაცია არ მოგვსვლია ახალი გუბერნატორის შესახებ, ანუ როდის შეუდგება მუშაობას და ა.შ. მე არ ვაპირებ მასთან თანამშრომლობას, გუშინ დავწერე უკვე განცხადება გადადგომასთან დაკავშირებით", - განუცხადა "სამხრეთის ჯარიბჭეს" გელა დემეტრაძემ.

დატოვებს თუ არა პოსტს გუბერნატორის მეორე მოადგილე ვატხანგ გენაძე, ამ დროისთვის უცნობია. "სამხრეთის ჯარიბჭე" მას ვერ უკავშირდება.

შეგახსენებთ, სამცხე-ჯავახეთში ახალი გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე, 13 დეკემბერს დაინიშნა. აღნიშნული პოსტი ყოფილმა რწმუნებულმა ივანე წიკლაურმა ოფიციალურად 15 ნოემბერს დატოვა. ამ დრომდე რწმუნებული მოვალეობას ყოფილი რწმუნებულის პირველი მოადგილე ჰარეთიუნ ჰოვჰანესიანი ასრულებდა.

რაც შეეხება რწმუნებულებს, ისინი საკუთარი უფლებების დაცვას აპირებენ და აცხადებენ, რომ მათ უსამართლოდ მოექცნენ. ცოტა ხნის წინ, სოფელ სამთავისში ადგილობრივი მოსახლეობაც გამოვიდა და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს მხარდაჭერა გამოუცხადა.

ამასთან, სოფელ ქვემოჭალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული იოსებ შულღიაშვილი აცხადებს, რომ აბსოლუტურად გაუგებარია რატომ გაათავისუფლეს სამსახურიდან.

"ვთვლი, რომ ჩემს მოვალეობას თავს კარგად ვართმევდი და ყველაფერს ვაკეთებდი ჩემი მოვალეობის ფარგლებში. ჩემთვის არ აუხსნიათ რატომ მიიღეს სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, რომ ოლეგ იაძის გამგებლობისას დანიშნული კადრები ახალი გამგებლისთვის გოჩა გოჩიტაშვილისთვის მიუღებელია და სწორედ აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გვათავისუფლებს სამსახურიდან. აქამდე თუ ქასპი ტატამი იყო, ახლა ჭაობია და გომბეშოები და ბაყაყები ყოყნებენ. ხელისუფლებას მოვუწოდებ, კარგად გაერკვეს იმ ვითარებაში რაც ქასპში ხდება, აქ საკმაოდ რთული მდგომარეობაა", - აცხადებს ქვემოჭალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული იოსებ შულღიაშვილი.

ქასპის მუნიციპალიტეტში 7 ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გათავისუფლების საკითხით საია-ს გორის ოფისიც დაინტერესდა და ამასთან დაკავშირებით, წერილობით მიმართავენ ქასპის მუნიციპალიტეტს.

პრემიერ-მინისტრმა 9 ახალი გუბერნატორის ანდოლაბურა წარადგინა

13
დეკემბერი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს 9 რეგიონის ახალი გუბერნატორის ვინაობა დაასახელა, რომლებიც მისი წარდგინებით მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა.

ესენი არიან: ქვემო ქართლი - გიორგი მღებრიშვილი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - კარმენ მარგველიძე, სამცხე-ჯავახეთი - აკაკი მაჭუტაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთი - ლევან შონია, იმერეთი - ზაზა მეფარიშვილი, კახეთი - ირაკლი შიოლაშვილი, მცხეთა-მთიანეთი - ნუგზარ ყიფიანი, შიდა ქართლი - ზურაბ რუსიშვილი, გურია - გიორგი ჩხაიძე.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე წარადგინა მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტანეტის ახალი უფროსი - აკაკი ჩხენკელი. მანამდე ეს თანამდებობა ირაკლი მელაშვილს ეკავა.

გურიის გუბერნატორი: "გამგაზღაბის შეცვლა იმდენად მოსალოდნელია, რამდენადც გავარკვევ მოსახლეობის განწყობას"

**14
ლექსიკონი**

ლანჩხუთს გურიის ახალი გუბერნატორი გიორგი ჩხაიძე დღეს ესტუმრა. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი

მას უარგ ეკონომისტად, თავის საქმეში წარმატებულ ადამიანად და მენეჯერული თვისებებით გამორჩეულ გამოცდილ უადრად აფასებს, რომელიც გურიას ბევრ უარგ საქმეს გაუკეთებს. თავად გუბერნატორის პირველი კომენტარი ის იყო, რომ მისთვის მოულოდნელი იყო შეთავაზება და ორშაბათამდე საჯარო ცვლილებებზე ვერაფერს იტყოდა.

მას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში დღის 4 საათისთვის ულოდნენ. ახალი გუბერნატორი ცოტა მოგვიანებით გამოჩნდა. მას ლანჩხუთის საყრებულოს მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეები _ ამირან გიგინეიშვილი და რევაზ ჩიტიძე, ასევე გამგებელი ზაზა ურუშაძე შეეგებნენ.

- ბატონო გიორგი, რამდენად მოსალოდნელი იყო, რომ თქვენ გახდებოდით გუბერნატორი?
- მოულოდნელი იყო. პოლიტიკასთან არ ვყოფილვარ არასდროს, მაგრამ ასე მოხდა.
- ამბობენ, რომ ირაკლი ლარიბაშვილთან დაახლოებული პირი ხართ და გამომდინარე აქედან მოხდა თქვენი გუბერნატორად დანიშვნა?
- საერთოდ არ ვიცნობდი ირაკლის, გავიცანი გუშინ, წარდგენის დღეს.

- რამდენად მოსალოდნელია გამგებლების შეცვლა?

- გამგებლების შეცვლა იმდენად მოსალოდნელია, რამდენადც გავარკვევ მოსახლეობის განწყობას, თუ მოსახლეობას სურს ცვლილება, თავისთავად მიიღებს ცვლილებას.

- ანუ საჯარო ცვლილებებზე უარ არაფერი გაქვთ გარკვეული?

- უარ არ ვიცი, ხომ გეუბნებით.

- როგორ ფიქრობთ, ოზურგეთში ხომ არ გაგჭირდებათ, ლანჩხუთელი რომ ხართ?

- არა, რა შუაშია? გურული გურულია...

- „გურიასთან“ დაკავშირებით რას იტყვით, მიაქცევთ თუ არა ყურადღებას?

- რა თქმა უნდა, აუცილებლად, „გურია“ სიამაყეა გურიის, მაგრამ თუ არ გავერკვე, ისე არაფერი

გამოვა, ფიზიკურად ვერ შევძლებ ჰასუხის გაცემას.

- ამ ბოლოს ბიზნესში იყავით?

- ამ ბოლოს არა, მთელ ჩემი ცხოვრებაა ბიზნესში ვარ.

- დღეს რა საკითხებზე გექნებათ საუბარი ბიზნესის წევრებთან?

- არაფერი მნიშვნელოვანი, სიტუაციაში გარკვევის მიზნით ჩამოვედი. პირველად ლანჩხუთი იმიტომ ჩამოვედი, რომ გაცილებით ნაცნობია ჩემთვის, ვიდრე ოზურგეთი და ჩოხატაური.

ლაშა გოგია გუბერნატორის მოადგილეობაზე შემოთავაზებას დათანხმდა

**14
ლექსიკონი**

კოალიცია "ქართული ოცნების" ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლაშა გოგია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილის თანამდებობაზე შეთავაზებას დათანხმდა.

"შესაძლებელია რომ დავინიშნო მოადგილედ, გიდასტურებთ. ამაზე არის საუბარი. შემომთავაზეს, განხილვა იყო და ამ შემომთავაზებას დავთანხმდი", - განუცხადა "ლაივპრესს" ლაშა გოგიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილედ შესაძლოა დანიშნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაიაც, თუმცა მან "ლაივპრესთან" საუბრისას აღნიშნული ინფორმაცია უარყო.

სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორად პრემიერ-მინისტრმა რეგიონის სამხარეო პოლიციის უფროსი ლევან შონია 13 დეკემბერს დანიშნა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას გივი გიგაური შეასრულებს

**16
ლექსიკონი**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას გივი გიგაური შეასრულებს. გიგაური 1 წლის განმავლობაში იყო ირაკლი შიოლაშვილის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში.

შეგახსენებთ, რომ 13 დეკემბერს ირაკლი ლარიბაშვილმა უახეთის გუბერნატორის თანამდებ-

ბობაზე დანიშნა ირაკლი შიოლაშვილი, რის შემდეგაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა ვაკანტური გახდა.

ქუთაისის 2013 წლის ბიუჯეტში 4 მილიონი ლარი გარღვევა

18
დეკემბერი

ქალაქის საკრებულოში ფრაქცია "ჰატრიოტთა ალიანსის" წევრები აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობას არადამაჯყოფილებლად აფასებენ და აცხადებენ, რომ ყოფილი მერების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

"მე მოვუწოდებ დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ გამოიძიონ ყოფილი მერების საქმიანობა. მე მაინტერესებს, რატომ მოხდა ქალაქის ბიუჯეტში არაფინანსურ აქტივებში 4 მილიონი ლარის გარღვევა და რით იყო ეს განპირობებული", - აცხადებს კახა ნემსიწვერიძე.

თბილისი 2014 წელს ბიუჯეტის გარეშე შეხვდება

დედაქალაქის საკრებულოში მიმდინარე საკმაოდ ხანგრძლივი და ემოციური განხილვა იმით დასრულდა, რომ საკრებულომ ხმათა უმრავლესობით თბილისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტი ჩააგდო.

30
დეკემბერი

2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტის წინააღმდეგ ხმა 21-მა დეპუტატმა მისცა. 18-მა მხარი დაუჭირა, 3-მა თავი შეიკავა. საბიუჯეტო პროექტის დამტკიცებისთვის საჭირო იყო 24 ხმა იყო.

კენჭისყრას წინ ხანგრძლივი დებატები უძღოდა. უმრავლესობის მხრიდან კრიტიკის საგანი იყო როგორც თანხების განაწილების პრინციპი, ასევე თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები. შენიშვნები გამოითქვა ბიუჯეტის პროექტში ჩადებულ პროგრამებზე, რომელიც შეეხება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, კომუნალური ვაუჩერის პროგრამას, უფასო და შეღავათიანი ტრანსპორტით მომსახურებას, რაიონების მიხედვით განსაზღვრულ სოციალურ დახმარებებს და წყალმომარაგების მოწესრიგებისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს.

კენჭისყრის დაწყების წინ საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა კოლეგებს შესთავაზა, რომ საბიუჯეტო პროექტის დამტკიცების საკითხი კენჭისყრაზე საერთოდ არ დამდგარიყო და ბიუჯეტის მიღება ერთი თვით გადაედოთ, მანამდე კი გამოთქმულ შენიშვნებზე მთავრობასთან მუშაობა გაგრძელებულიყო.

საბოლოოდ საბიუჯეტო პროექტს კენჭი მაინც უყარეს, რომელიც იც შედეგით, 18 მომხრე და 21 წინააღმდეგი, ჩააგარდა.

სამოქალაქო ხელტუჩის საერთაშორისო ცენტრმა ქრნალისტაბისთვის გამოცხადებული ხონჯურისის გა- მარჯვებულები გამოავლინა

საკონკურსო თემა იყო "ადგილობრივი თვითმმართველობის იდეის და დაგეგმილი რეფორმის აქტუალიზაცია და პოპულარიზაცია"

კონკურსის მიზანი იყო, საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ადგილობრივი თვითმმართველობის არსისა და დაგეგმილი რეფორმის შესახებ, კერძოდ:

** ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და საჭიროება - რა ძირითადი პრობლემების მოგვარებას უნდა ემსახურობდეს ადგილობრივი თვითმმართველობა;

** ადგილობრივ თვითმმართველობებში დღეს არსებული პრობლემები და გამონკვევები;

** თვითმმართველობის რეფორმის სამთავრობო კონცეფციის არსი - რა სიახლეს გვთავაზობს თვითმმართველობის რეფორმა (კონცეფცია);

** როგორი იქნება შედეგი, რას მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობა ამ რეფორმის შედეგად?

ქეორიმ პირველი ადგილი არავის არ მიაკუთვნა.

ქეორის გადაწყვეტილებით პირველი ადგილის საპრიზო თანხა დაემატა მეორე და მესამე ადგილებს და სადაც ჯილდოს მფლობელად ორ - ორი ავტორი დასახელდა;

მეორე ადგილი:

სოფიო ქორიძე - თვითმმართველობის ახალი კონცეფცია: რეალური გამოსავალი რეალური პრობლემიდან; <http://www.lsg.ge/?cat=news&topic=1811&lang=ka>

გიორგი გირქელიძე - ორი აზრი ანუ ქალაქსა და სოფელს სხვადასხვა ამოცანები უდგათ წინ; <http://www.lsg.ge/?cat=news&topic=1812&lang=ka>;

მესამე ადგილი:

მალხაზ ჭყაძეა - თვითმმართველობის რეფორმა, როგორც აუცილებლობა; www.lsg.ge/?cat=news&topic=1813&lang=ka;

ირაკლი მოღებაძე - დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი თვითმმართველობაა; <http://www.lsg.ge/?cat=news&topic=1814&lang=ka>;

ელექტრონული ბიულეტენი „თვითმმართველობის დროა“ შექმნილია სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება დეცენტრალიზაციისათვის“ ფარგლებში.

ბიულეტენში გამოქდება როგორც მუნიციპალიტეტებში მიმდინარე ყოველდღიური პროცესები, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროცესის მიმდინარეობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ბიულეტენში მოცემული ინფორმაცია საინტერესო იქნება ადგილობრივი თვითმმართველობით დაინტერესებული პირებისათვის.

მის შინაარსზე ვასუხისმგებელია „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“ და იგი არ ასახავს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ შეხედულებებს.

თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგვიგზავნეთ ელ-ფოსტაზე - office@iccc.org.ge

© სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
www.lsg.ge www.ivote.ge